# სარბიელი

სპორტული გაზეთი ორშაბათი 17 მარტი 2008 №059 (3283) ფასი 50 თეთრი


# არ გავუჩრიგდეთ გარიგებულს!

## დინამოს მუშველელები არ ელევა: ახლა ხარიხა ბორჯომი ბათუმს გასავარდნად ვერ იმეტებს






## სხდომა და თემა საგანგებოა!

ფეხბურთში მატჩის გარიგებაზე დიდი დანაშაული არ არსებობს, მაგრამ ეს ისეთი დანაშაულია, იშვიათად რომ გამოაშკარავდება ხოლმე. უფრო სწორად, ასეთი თამაშები უმალ იპყრობს ყურადღებას, მაგრამ სამხილების მოპოვება ურთულესი საქმეა.

მაგრამ ისიც არის, რომ სამხილთა ძიების სირთულეზე ნუნუნი შორს ვერ წაგვიყვანს და დღეს ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციაზე ზრუნვაც ფუჭი იქნება, მატჩების „გამკეთებლებთან“ ბრძოლის გარეშე.

ჰოდა, ამიტომაც ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის ხვალინდელი საგანგებო სხდომა, რომელზეც ჩამწყობებთან ბრძოლის გზები უნდა დაისახოს, ის ნაბიჯია, სრულ მხარდაჭერას რომ მოითხოვს.


ინტერვიუ ნოდარ ახალკაცთან
იხილეთ მე-5 გვერდზე


# ცხოვრებაც რომ რაგბივით იყოს ჩვენ კი არა, რუსეთმა ვერ მოგვიცილა

იტალიურ ვენეტოში გუშინ საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატზე თავისი პირველი მატჩი გამართა და ინგლისთან 3:53 წააგო.

დავაკონკრეტოთ, რომ ქართველები ევრორაგბობაზე ელიტარულ 8-გუნდა ჯგუფში თამაშობენ, რომლის გამარჯვებულიც ევროპის ჩემპიონად ცხადდება.

კენჭისყრით ჩვენები მეოთხედფინალში პირდაპირ მსოფლიოო გრანდ ინგლისს შეხვდნენ და სარაგბო ლოგიკით, რა თქმა უნდა, წააგეს.

პირველ ტაიმში ქართველმა 18-წლამდელებმა გვარიანად ანერვიულეს ინგლისელები და ოდენ 3:10 წააგეს, მეორე ტაიმში კი კლასმა და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. საბოლოოდ, როგორც ვთქვით, ჩვენები 3:53 დამარცხდნენ და ნახევარფინალში ველარ გავიდნენ.

ახლა უმცროსი „ლელოები“ უფროსებს დაასწრებენ. განვმარტოთ: 12 აპრილს ჩვენი ეროვნული გუნდი ერთა თასის გადამწყვეტ მატჩში რუსეთს დაუპირისპირდება, მანამდე კი ჭაბუკები პლეი აუტში, ანუ 5-8 ადგილებისთვის, ირლანდიისგან მინგრეულ რუსებს შეხვდებიან.

ჩვენი და რუს 18-წლამდელთა მატჩი 19 მარტს გაიმართება და თუ ქართველებმა ტრადიციულად იჩაუქეს, მაშინ მეხუთე ადგილისთვის ესპანეთსა და რუმინეთს შორის უკეთესს შეხვდებიან. ერთხელაც შეგახსენებთ, რომ ელიტარული რვაგუნდა დივიზიონიდან ბოლოადგილოსანი ვარდება და მეორელიგელ ყოჩს უცვლის ადგილს.

ევროპის 18-წლამდელთა ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრები მესამედ თამაშობს. შარშანწინ ჩვენები მე-7 ადგილზე გავიდნენ, შარშან კი შედეგი გააუმჯობესეს და ერთი საფეხურით დაწინაურდნენ. ახლაც, უმცროსი „ლელოების“ მთავარი მიზანი ელიტიდან არგავარდნაა, რისი გზაც რუსეთზე გადის.

| | | |
|---|---|---|
| **მეოთხედფინალი** | | |
| ინგლისი | 53:3 | საქართველო |
| საფრანგეთი | 52:6 | ესპანეთი |
| ირლანდია | 53:0 | რუსეთი |
| იტალია | 25:0 | რუმინეთი |
| **ნახევარფინალი** | | |
| იტალია | — | საფრანგეთი |
| ინგლისი | — | ირლანდია |
| **5-8 ადგილებისთვის** | | |
| საქართველო | — | რუსეთი |
| ესპანეთი | — | რუმინეთი |



„თეთრი“ ინგლისის კლასმა გაჭრა და გაშალა

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
II წრე. 17 ტური

# ოლიმპი პაატამ დააპატარავა
## ვიტ ჯორჯიამ ქართან არ წააგო და ქარით მოიგო



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

რუსთავი. 16 მარტი. 15 საათი. ფოლადი. 1 000 მაყურებელი

### ოლიმპი 0:1 ვიტ ჯორჯია

0:1 პ. დათუნაიშვილი (65)

ოლიმპი: შეყრილაძე, გ. რეხვიაშვილი, ორბელაძე, გაბედავა (სტეფანიშვილი 82), მგელაძე, ხუბუა, დევდარიანი, კოვალევსკი (იმედაძე 46), ჯოჯუა, სებისკვერაძე (კახელიშვილი 46), ომელიანოვი
*სათადარიგონი:* კალანდაძე; ბოკუჩავა, აფრიამაშვილი, ზ. მეტრეველი
მწვრთნელი: ანატოლი პისკოვეცი

ვიტ ჯორჯია: ბედიაშვილი, ბექვაია, ა. კვახაძე, დ. ლომაია, ჯაფარიძე, პ. დათუნაიშვილი, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, ლუჭაშვილი (ლიპარტია 51), სახოკია (ბერიაშვილი 80)
*სათადარიგონი:* ღურბელიშვილი, ყველაშვილი, კვალინიძე, ინჯგია, ცხადაძე
მწვრთნელი: ნესტორ მუმლაძე

გაფრთხილება: ლომაია (56), ბექვაია (66), კახელიშვილი (88)

მსაჯები: მ. ურუშაძე, მ. ელიკაშვილი, ა. კოკაია, ხ. გაგნიძე

**ილია ნანობაშვილი** რუსთავიდან

„ვიტ ჯორჯია" ექსპრესივით მიჰქრის და მოსვენებას არ აძლევს „დინამოს". მართალია, ვიტელები მეტწილად მინიმალური ანგარიშებით იგებენ, მაგრამ ძალიან ვეჭვობთ, ეს დარდად ჰქონდეთ შემოწოლილი — ახლაც, პაატა დათუნაიშვილის კინკილა გოლი მოსაგებად საკმარისი აღმოჩნდა და „მწვანეები" უკვე 4 ქულით დაუსხლტნენ მესამეადგილოსან „ზესტაფონს".

ეს კი უკვე გვაფიქრებინებს, რომ საჩემპიონო რბოლას „დინამო" და „ვიტ ჯორჯია" შემორჩნენ... ვნახოთ, ასე თუ იქნება.

რუსთაველებს დისკვალიფიცირებულების, მიხეილ მახვილაძისა და რევაზ გეწაძის გარდა, დავით ჭიჭვეიშვილი, მირზა მერლანი და ლევან სილაგაძე აკლდათ, ეს კი თითქმის ნახევარი გუნდია. დავით დევდარიანიც ვერ იყო ისეთი ეფექტური, როგორც წინა მატჩებში — მხოლოდ ერთხელ დაუარა ჩვეული დრიბლინგით და დავით ლომაიას ყვითელი ბარათი აჰკიდა, მაგრამ გრიგოლ ბედიაშვილის კარს ერთხელაც ვერ დაემუქრა. ჰო, ბედიაშვილის „უსაქმურობაზე": ვიტელთა მეკარეს მთელი 90 წუთის განმავლობაში გადასახტომად საქმე არ ჰქონია.

ნესტორ მუმლაძის გუნდის ნახევარდაცვას ლუკა რაზმაძე აკლდა, ვის ნაცვლადაც ამ პოზიციაზე ამპლუით მარჯვენა მცველმა გოგა ბეჭვაიამ ითამაშა, ხოლო ბეჭვაიას ადგილზე პაატა დათუნაიშვილი დადგა.

პირველ ტაიმში „ვიტ ჯორჯია" ქარის წინააღმდეგაც თამაშობდა და მხოლოდ ერთი ხიფათი შექმნა, როდესაც ირაკლი კლიმიაშვილმა ფლანგური გარღვევის შემდეგ საჯარიმოში შეასრიალა ბურთი და გიორგი მელქაძეს რომ დარტყმა მოეხერხებინა, გოლი გარდაუვალი იქნებოდა.

გუნდები შესვენებიდან რომ მობრუნდნენ, ქარმა სტუმართა სასარგებლოდ დაიწყო ქროლა და ვასილ ლუჭაშვილმა როგორ ვერ მოახერხა ხუთიოდ მეტრიდან გატანა, გაუგებარია. ეს მომენტი ზაზა სახოკიას გამჭოლ პასს მოჰყვა, ლუჭაშვილს კი დარტყმა გაუცუდდა.

დაახლოებით ასეთივე ხიფათი 85-ე წუთზეც შეიქმნა, როცა პაატა დათუნაიშვილმა მარჯვენაფლანგურ კროსს კანფეტივით პასიც მიაყოლა და კლიმიაშვილმა ლამის ნახევარი მეტრიდან გადააცილა ბურთი კარს. ეს ორი ურეალურესი შანსი განიავდა, მაგრამ...

მაგრამ ის, რომ პაატა დათუნაიშვილს ამ გარღვევამდე უკვე გაეტანა გოლი. არეულობაში ოდნავ მახვილი კუთხიდან თავით გადაგზავნა ბურთი ბექა შეყრილაძისთვის მიუწვდომელ კუთხეში — ეს 65-ე წუთზე მოხდა.

მთლიანობაში, ვიტელებმა აშკარად აჯობეს მასპინძლებს, უფრო მეტს მოძრაობდნენ და ზუსტი პასებიც გამოსდიოდათ. „ოლიმპმა" ბოლო წუთებშიც ვერ შეუტია, რაც დიდწილად ჯაბა ლიპარტიას დამსახურებაა. ახალგაზრდა ვიტელი ფორვარდი წლეულს „ოქროს შემცვლელად" იქცა. უკვე რამდენიმე მატჩია, მეორე ტაიმში შედის და მეტოქის მცველებს მოსვენებას არ აძლევს. ვერც დავითვალეთ, რამდენჯერ დაარღვევინა ლიპარტიამ თამაშის წესები ოლიმპელებს.

გორი. 16 მარტი. 15 საათი. თ. ბურჯანაძე. 300 მაყურებელი

### დილა 0:1 მესხეთი

0:1 ბერიანიძე (ნს.კ.)

დილა: ცერცვაძე, ტლაშაძე, გვეტაძე (გ. წინამძღვრიშვილი 81), ბერიანიძე, ბალაშვილი, სადალაშვილი, ლაცაბიძე, ნ. ნოზაძე (რეხვიაშვილი 78), სულთანიშვილი (ვარდოსანიძე 72), შატაკიშვილი, გ. მიქაძე
*სათადარიგონი:* ბალიაშვილი, საყვარელიძე, ი. ლომიძე
მწვრთნელი: ზურაბ ხორგუაშვილი

მესხეთი: სომხიშვილი, გ. ნადირაშვილი, ქობესაშვილი, ლ. მერებაშვილი, ლეკიშვილი, კ. ხანიშვილი, მ. თაყაძე, გვირჯიშვილი, ინასარიძე (სუდაძე 89), კოშკაძე, ი. კიკნაძე (სამადაშვილი 72)
*სათადარიგონი:* ძამუნაშვილი, თელიაშვილი, ი. თაყაძე, მუშკუდიანი
მწვრთნელი: კობა თედიაშვილი

გაფრთხილება: კ. ხანიშვილი (18), კიკნაძე (62), კოშკაძე (65)

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი, ო. მოლოდინაშვილი, დ. კურტანიძე, გ. დოგრაშვილი

# გორი დაგორდა
## შტურმი და ავტოგოლი

**ტარიელ შოთნიაშვილი** გორიდან

**გორში** დილიდან დაწყებულ თოვას თამაშამდე წვიმა დაემატა და მთელი მატჩის განმავლობაში არც შეწყვეტილა. გუნდებსაც ატალახებულ მოედანზე მოუხდათ თამაში.

„დილას" რომ ქულები ჰაერივით სჭირდება, საკამათო აღარ არის, ამიტომაც გორელებმა მატჩის დაწყებისთანავე შეუტიეს მეტოქეს და სწრაფი გოლის გატანას შეეცადნენ, თუმცა მოხდა საპირისპირო: ბურთი „დილას" კარის ბადეში აღმოჩნდა. მე-6 წუთზე მიხეილ თაყაძემ მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა მასპინძელთა საჯარიმოში, ჯაბა ბერიანიძემ ბურთის მოგერიება სცადა, მაგრამ აეჭრა და მარცხენა დაბალ კუთხეში შეგორდა — 0:1.

გაშვებულ ბურთს მასპინძლებზე დამთრგუნველად არ უმოქმედია, პირიქით, საპასუხო შეტევისას მიეცათ ანგარიშის გათანაბრების შანსი, როცა გიორგი მიქაძემ მარცხნიდან საჯარიმოში მწვავე გადაცემა გააკეთა, მაგრამ ქრისტეფორე შატაკიშვილი ვარდნაში ვერ მისწვდა ბურთს.

ათ წუთში კი ახალციხელებს გაუმართლათ. შატაკიშვილი ორთაბრძოლაში დაეუფლა ბურთს და საჯარიმოს ხაზიდან გადააწოდა მიქაძეს, რომელმაც ზუსტი პასით სომხიშვილთან პირისპირ გაიყვანა სადალაშვილი, მისი დარტყმა კი ძ[illegible]ლმა მოიგერია.

„დილას" უპირატესობა თანდათან იზრდებოდა და ტაიმის ბოლოს პიკს მიაღწია. 33-ე წუთზე ნოდარ ნოზაძეს შეექმნა კარგი მომენტი, მაგრამ ახლოდან დარტყმისას მცველი გადაეფარა. ტაიმის [illegible] წუთზე კი კვლავ გადარჩა „მესხეთი" — შატაკიშვილი სწრაფად შეიჭრა სტუმრების საჯარიმოში და მიქაძეს გადააწოდა ბურთი, მაგრამ თავდამსხმელმა ხუთი მეტრიდან ვერ შეძლო სტუმართა კარის აღება.

მეორე ნახევარი ახალი დაწყებული იყო, როცა შეცვლაზე შესულმა რეხვიაშვილმა ფლანგიდან კარგად ჩააწოდა საჯარიმოში მარტოდ მყოფ მიქაძეს, მაგრამ მისი თავური დარტყმა ახლოდან [illegible] არაზუსტი გამოდგა.

მასპინძლები უტევდნენ, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ.

მე-60 წუთზე გორელებმა კვლავ შექმნეს მომენტი — სულთანიშვილის ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს სტუმართა საჯარიმოში მყოფმა რეხვიაშვილმა თავით შეუცვალა მიმართულება, მაგრამ სომხიშვილს პირდაპირ ხელებში მოუვიდა. 72-ე წუთზე კი კვლავ [illegible] აღმოჩნდა კარგ პოზიციაში, მაგრამ სუსტად დაარტყა.

მატჩის ბოლოს მასპინძლებმა შტურმი მოუწყეს სტუმრებს, მაგრამ ანგარიშის შეცვლა ვეღარ შეძლეს.

# ცქიტიშვილს ფურცელი ჩამოუვიდა



„ლოკომოტივს" უახლოეს ტურში, სავარაუდოდ, ლევან ცქიტიშვილიც შეემატება. როგორც გუშინ თბილისელთა მწვრთნელმა გიორგი კიკნაძემ გვითხრა, ბერძნულმა „პანიონიოსმა" სატრანსფერო ფურცელი უკვე გამოაგზავნა.

ცქიტიშვილი კარგა ხანი უკლუბოდ იყო და „ლოკომოტივში" ვარჯიშობდა, ამ ზამთარში ინგლისურ „ბირმინგემში" აპირებდა გადასვლას, თუმცა ტრანსფერი ბოლო წამს ჩაიშალა.

„რაღაც საკითხები კიდევ არის მოსაგვარებელი. ლევანი ეროვნული ნაკრების წევრია, პირველ რიგში ნაკრებისთვის მნიშვნელოვანია, რომ მას სათამაშო პრაქტიკას ჰქონდეს და, რა თქმა უნდა, ჩვენთვისაც კარგი იქნება, თუ დაგვეხმარება" — გვითხრა გიორგი კიკნაძემ.

**ნუკრი ლოლაძე**

# ხოჯავას დღეობა

**რუსეთში** პრემიერლიგა კი დაიწყო, მაგრამ პირველდივიზიონელები ისევ მზადების პროცესში არიან.

მახაჩყალის „ანჟიმ" თურქეთში საკონტროლო მატჩი გამართა და 2:3 წააგო ბარნაულის „დინამოსთან".

ანჟელთა ორივე გოლი გუშინდელ იუბილარ გოჩა ხოჯავას ანგარიშზეა.

სასტარტოში ითამაშეს ზურაბ არზიანმა და რევაზ ბარაბაძემ. მეორე ტაიმში კი მოედანზე ვალერი აბრამიძე, გიორგი ნავალოვსკი, რევაზ ჯიქია, მიხეილ აშვეთია და ხოჯავა შევიდნენ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# საქართველოს 19 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
15 ტური

### აღმოსავლეთი

გაგრა 1:2 კახეთი
ნ. დინ-მერანი 2 1:1 ოლიმპიკი

დღეს

ოლიმპი 2 — დინამო 2
ამერი 2 — ჩიხურა
მეშაქრე — ვიტ ჯორჯია 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გაგრა | 18 | 10 | 5 | 3 | 38:28 | 35 |
| დინამო 2 | 17 | 10 | 4 | 3 | 28:14 | 34 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 17 | 8 | 4 | 5 | 26:15 | 28 |
| მეშაქრე | 16 | 8 | 4 | 4 | 25:17 | 28 |
| ჩიხურა | 17 | 7 | 5 | 5 | 26:23 | 26 |
| ოლიმპი 2 | 17 | 7 | 4 | 6 | 25:19 | 25 |
| კახეთი | 18 | 7 | 4 | 7 | 29:28 | 25 |
| ამერი 2 | 16 | 6 | 2 | 8 | 27:29 | 20 |
| ოლიმპიკი | 18 | 3 | 4 | 11 | 23:38 | 13 |
| ნ.დინ-მერანი 2 | 18 | 0 | 4 | 14 | 17:53 | 4 |

### დასავლეთი

მეშახტე 1:2 მაღაროელი
ხობი 3:1 სამტრედია
მარტვილი — კოლხეთი გადაიდო

დღეს

ტორპედო — ზესტაფონი 2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაღაროელი | 18 | 16 | 2 | 0 | 41:12 | 50 |
| მარტვილი | 17 | 8 | 4 | 5 | 23:16 | 28 |
| მეშახტე | 17 | 9 | 0 | 8 | 29:29 | 27 |
| ზესტაფონი 2 | 16 | 8 | 2 | 6 | 26:16 | 26 |
| კოლხეთი | 17 | 7 | 5 | 5 | 23:19 | 26 |
| ტორპედო | 17 | 7 | 4 | 6 | 27:24 | 25 |
| ხობი | 18 | 6 | 5 | 7 | 23:23 | 23 |
| უნივერსიტეტი | 16 | 5 | 3 | 8 | 13:17 | 18 |
| სამტრედია | 17 | 2 | 3 | 12 | 17:40 | 9 |
| ფაზისი | 17 | 2 | 2 | 13 | 17:43 | 8 |

„ფაზისი" მოხსნილია გათამაშებიდან

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. II წრე. 17 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლნისი. 16 მარტი. 15 საათი. თ. სტეფანია. 400 მაყურებელი

## სიონი 0:0 ამერი

| სიონი | ამერი |
| --- | --- |
| **სიონი:** ბობლიაშვილი, გ. ოქროპირიძე, სვანიძე (შ. ჯიქია 46), ქურასბედიანი, შავგულიძე, სანიკიძე, ლ. ბაჯელიძე (ზ. ჭელიძე 84), ბ. ნოზაძე, ჩასემი, ზ. ავალიანი (კეტაშვილი 46), გ. ჭელიძე | **ამერი:** ლ. ნადირაშვილი, კაკაშვილი (ა. ალავიძე 76), დავითნიძე, ჩიკვილაძე, ელბაქიძე, დობროვოლსკი, დიდავა, დეკანოსიძე, შალამბერიძე (მემარნიშვილი 62), ს. დავითაშვილი, რ. გოცირიძე |
| *სათადარიგონი:* გ. იაშვილი; ლ. ვაშაკიძე, ნაყოფია, კვიტაიშვილი | *სათადარიგონი:* ქვაჩახია; მესხი, სილაგავა, დ. მჭედლიშვილი, ჩიმაკაძე |
| **მწვრთნელი:** გიორგი ყიფშიძე | **მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე |

**გაფრთხილება:** დიდავა (21)

**მსაჯები:** ო. ხეცაძე, გ. ჩიგოგიძე, ა. გუნთაძე, ვ. ელისაბედაშვილი



გიორგი ოქროპირიძის ხელბურთი მაჯმა შეუმჩნეველი დატოვა.

# ქარბურთი, ხელბურთი და ცოტაც ფეხბურთი

**კობა ინასარიძე ბოლნისიდან**

**ბოლნისში** თამაში და, მით უმეტეს, იქიდან სამი ქულის წაღება როგორი რთული საქმეც არის, ყველა დაგვეთანხმება, „თამაზ სტეფანიაზე“ ვისაც უთამაშია. ასე იყო გუშინაც, როცა „სიონს“ თბილისური „ამერი“ ესტუმრა და მოგებაც ეწადა.

არც სტუმარს და არც მასპინძელს არაფერი გამოუვიდათ. მოედანზე დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა, ორივე კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შეიქმნა, მაგრამ ისეთი მატჩი მაინც არ იყო, როგორც ამ მეტოქეებს შორის ადრე გვინახავს, თან ტრიბუნებიც თითქმის ცარიელი იყო, არადა, „თამაზ სტეფანიაზე“ ანშლაგიც ხშირად გვახსოვს.

...ამ შეხვედრაში მოგებული, შესაძლო იყო, მეორე ტაიმის დასაწყისშივე გარკვეულიყო, მაგრამ ერთ ეპიზოდში არბიტრის უხეშმა შეცდომამ, წუთის მერე კი შოთა ჯიქიას უზუსტო დარტყმამ ტაბლოზე ციფრები უცვლელი დატოვა.

მეორე ტაიმი „ამერის“ უპირატესობით დაიწყო და მასპინძელთა კარში თითქოს გოლიც მომწიფებული იყო, როცა თავად ბოლნისელ ქომაგთა, ფეხბურთელთა და ხელმძღვანელთა აზრითაც, არბიტრი ოთარ ხეცაძე აშკარად შეცდა და „ყვითლების“ სასარგებლოდ პენალტი არ დანიშნა — კუთხურიდან ჩაწოდებულს გიორგი დავითნიძემ თავური შეაგება, კარისკენ მიმავალი ბურთი კი გიორგი ოქროპირიძემ ხელით უკუაგდო. ეს ყველაფერი იმდენად აშკარად ჩანდა, როგორც ვთქვით, მსაჯის გადაწყვეტილებამ, თამაში გრძელდებაო, მთელი სტადიონი გააოცა... უკვე წუთის შემდეგ კი „ამერი“ გადარჩა: ბოლნისელებს საგოლედ ჩინებული შანსი მიეცათ, მაგრამ სტუმარი მცველების პოზიციური შეცდომითა და ბექა ნოზაძის გონივრული პასით შოთა ჯიქიამ ვერ ისარგებლა — მისი დარტყმული ხარიხას გადასცდა.

ცოტა ხანში მასპინძლების დაწინაურება „ზესტაფონიდან“ ახლახან ნათხოვარ გიორგი ჭელიძესაც შეეძლო, მან კარის შორეულ ძელთან იმავ ნოზაძის ჩაწოდებულ ბურთს ფეხი ჰაერშივე შეაგება და ძლიერად დაარტყა, მაგრამ „ამერი“ ლადო ნადირაშვილმა გადაარჩინა.

საგოლედ კარგი შანსი თამაშის ბოლოსკენ რევაზ გოცირიძესაც ჰქონდა, თუმცა საჯარიმოში შეჭრილს ბურთზე თამაში მცველმა დაასწრო და ვითარება განმუხტა...

ეს ყველაფერი მატჩის მეორე ტაიმში მოხდა, პირველი კი შედარებით უინტერესო გამოდგა, თამაშს თავისი კვალი ქარმაც დაატყო და უხარისხო მოედანმაც, რის გამოც ფეხბურთელები პასისა თუ დარტყმის ძალასიზუსტეს ვერ ზომავდნენ და ბურთიც ხან მეტოქიდან მეტოქისკენ გადადიოდა, ხანაც — მოედანს გალმა. გუნდებმა მეკარეები რამდენჯერმე კი შეაწუხეს, მაგრამ მნიშვნელოვანი და დეტალურად მოსაყოლი არაფერი ყოფილა.

მატჩი ლოგიკური შედეგით დამთავრდაო, ითქვა მატჩის შემდეგ, ჩვენც ასე ვფიქრობთ... როგორც ამბობენ, ერთი გოლის თამაში იყო, ეს გოლი კი „თამაზ სტეფანიაზე“ გუშინ ვერავინ ნახა...

# კადრი ძველი ფირიდან: დარასელია, ალექსიძე, გოოოლ!



ვიტალი დარასელიას (მარჯვნივ) დაწყებული რატი ალექსიძემ დაასრულა

თბილისი. 16 მარტი. 15 საათი. მიხეილ მესხი. 400 მაყურებელი

## ლოკომოტივი 1:1 ზესტაფონი

0:1 ვიეირა (9), 1:1 ალექსიძე (48)

| ლოკომოტივი | ზესტაფონი |
| --- | --- |
| **ლოკომოტივი:** მ. ალავიძე, დ. ფოფხაძე, გუშარაშვილი, ფარულავა, ქუხილავა, გულორდავა (წულაძე 79), ზ. ჩხეტიანი, ბარბაქაძე, ქუცურუა (ლ. ჩაგელიშვილი 90), დარასელია, დ. ჩაგელიშვილი (ალექსიძე 46) | **ზესტაფონი:** რ. კვასხვაძე, ს. თოდუა, ე. საჯაია, უ. ლობჟანიძე, რ. ონიანი, ბენაშვილი, კესანი, გ. ხიდეშელი (იონანიძე 72, ნ. კვასხვაძე 80), ვიეირა, ბ. გოცირიძე, ბიტოო (დაუშვილი 65) |
| *სათადარიგონი:* მიგინეიშვილი, კაჭახიძე, შალიკაშვილი, ალავერდაშვილი | *სათადარიგონი:* გ. ჭანტურია, აკუასაგა, გელაჭეიშვილი, დ. ჯანელიძე |
| **მწვრთნელი:** გიორგი კიკნაძე | **მწვრთნელი:** თემურ მახარაძე |

**გაფრთხილება:** ონიანი (25), კესანი (33), ბიტოო (53)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი, ლ. თოდრია, ი. უკლება, ა. ნონიკაშვილი

**დამკვირვებელი:** შ. ხინჩაგაშვილი; **დირექტორი:** ი. რუხაძე

**ნუკრი ლოლაძე**

**ქომაგი** ამ მატჩს ინტერესით ელოდა — „ლოკომოტივმა“ ბოლო დღეებში რამდენიმე საინტერესო ტრანსფერი განახორციელა — ფეხბურთს ჩამოშორებული რატი ალექსიძე და მოლდოვის „დაჩიადან“ წამოსული ვიტალი დარასელია შეიმატა.

გიორგი კიკნაძემ დარასელია სასტარტოში დააყენა, ალექსიძემ კი პირველ ნახევარს სათადარიგოთა სკამიდან უყურა.

პირველმა ტაიმმა იმერლების უპირატესობით ჩაიარა. „ზესტაფონი“ უკვე მე-9 წუთებზე დაწინაურდა — ტანმორჩილმა ეტიენ ბიტოომ ზურგსუკან მყოფ ჟილვან ვიეირას ბურთი თავით გადაუგდო და ბრაზილიელმაც ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა — მიხეილ ალავიძეს შორეულ კუთხეში დაურტყა — 0:1.

მალევე გიორგი ხიდეშელს თავური აუღო ალავიძემ. თბილისელების ერთადერთი სახიფათო მომენტი კი ახალწვეულმა დარასელიამ შექმნა — მისი გადაცემით გიორგი ქუცურუა გავიდა ხელსაყრელ პოზიციაზე, მაგრამ სუსტად დაარტყა და როინ კვასხვაძეს ბურთის აღება არ გასჭირვებია.

36-ე წუთზე ხიდეშელს გატანის რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ დარტყმა დააყოვნა... ტაიმის მიწურულს კი „ლოკომოტივი“ კიდევ ერთ გოლს გადაურჩა — ბექა გოცირიძემ მარცხნივ ვიეირა მოძებნა, ბრაზილიელმა საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც ბიტოო იყო უმეთვალყურეოდ, ოღონდ როგორღაც მოახერხა და, სამიოდ მეტრიდან კარს გადააცილა.

მეორე ტაიმში კიკნაძემ თამაშში ალექსიძე ჩართო და რატიმაც სამ წუთში მშვენიერი გოლი გაიტანა. დარასელიამ და ალექსიძემ მშვენივრად გაითამაშეს ბურთი და საქართველოს ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა შორეულ კუთხეში აუღებელი დაურტყა კვასხვაძეს — 1:1.

„ზესტაფონი“ გააქტიურდა: ვიეირას გრძელი გადაცემის შემდეგ ბიტოომ იხეირა, თუმცა იქამდე ბურთი ხელით გაისწორა და გოლიც გაუქმდა და ყვითელი ბარათიც დაიმსახურა.

იმერელთა შორის საუკეთესო უდავოდ ვიერა იყო — მარცხენა ფრთაზე უამრავი თავსატეხი გაუჩინა „ლოკომოტივს“.

თემურ მახარაძემ 65-ე წუთზე გასაკვირი გადაწყვეტილება მიიღო — ფორვარდი ბიტოო მოხსნა. 72-ე წუთზე კი საშველად უბერებელ ზურაბ იონანიძეს უხმო, თუმცა რამდენიმე წუთში იონამ ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა.

როგორც ნამატჩევს ითქვა, იონანიძეს ჟუნთი გაუწყვეტია. თამაში კი ასე მიილია, „ზესტაფონს“ ღირებული აღარაფერი შეუქმნია...

### პრესკონფერენცია

*თემურ მახარაძე:* დასანანი ორი ქულა დავკარგეთ. პირველ ნახევარში ორი რეალური მომენტი ვერ გამოვიყენეთ. გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი მყავს, მაგრამ მათ საშემსრულებლო ოსტატობა აკლიათ. ვერ გეტყვით, დავკარგეთ თუ არა ჩემპიონობის შანსი. ერთია: სწორ გზაზე ვართ და გუნდის გაახალგაზრდავების პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს...

*გიორგი კიკნაძე:* ჩემს ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი. „ლოკომოტივს“ უკან დასახევი გზა არ აქვს და ნებისმიერ მეტოქესთან ასე მობილიზებულები უნდა ვიყოთ.

# საქართველოს 19 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — II წრე. 17 ტური

# ოდიკაძეს გოლი პატრულმა მიულოცა



ბადრი კეთილაძის ფოტო

ბორჯომი. 15 მარტი. 15 საათი. ჯ. ზეინკლიშვილი. 600 მაყურებელი

## ბორჯომი 1:2 ბათუმი

1:0 თედიაშვილი (22), 1:1, 1:2 ჩხეტიანი (65, 66)

**ბორჯომი:** სეფიაშვილი, გოგიჩაიშვილი, ნ. ლომიძე, ქარქუზაშვილი, კაკუბავა, თედიაშვილი, კირთაძე (გაჩეჩილაძე 61), ვ. ბოლქვაძე (ბაქრაძე 46), შ. გრიგალაშვილი, ჯიუსი (ნასყიდაშვილი 61), მეგრელაძე
*სათადარიგონი:* დევიძე, კირთაძე, ხითარიშვილი
**მწვრთნელი:** ვლადიმერ ხაჩიძე

**ბათუმი:** სტურუა, ვ. კუნჭულია, კ. მახარაძე, მაკარიანი, თედორაძე, გ. თურმანიძე, ბეჟანიძე (ოქრუაშვილი 27), ცანავა, ზ. ქუთათელაძე (გალოგრე 46), ქებაძე (ფარტენაძე 73), გ. ჩხეტიანი
*სათადარიგონი:* თოთლაძე; ბ. მახარაძე
**მწვრთნელი:** ავთანდილ კუნჭულია

**გაფრთხილება:** ქარქუზაშვილი (36)

**მსაჯები:** ლ. ფანიაშვილი, ს. სპიცინი, კ. გუდურაშვილი, ვ. გუმბერიძე

# ბორჯომმა ბათუმს მართლა უმასპინძლა

## იგებს ის, ვისაც სჭირდება

**მიხეილ ჟორჟოლიანი ბორჯომიდან**

**მატჩისწინა** მიმოხილვაში ვწერდით, რომ „ბათუმს" ჯანიან „ბორჯომთან" ქულების მოპოვება გაუჭირდებოდა, თუმცა საქართველოს ჩემპიონატში, როგორც ჩანს, ყველაფერი სხვაგვარადაა — ქულებს იოლად ის იხვეჭს, ვისაც უფრო სჭირდება.

ასე მოხდა ბორჯომულ მატჩშიც — მასპინძლებს ქულები არაფერში სჭირდებოდათ, „ბათუმს" კი, პირიქით და, აკი, მოიპოვა კიდეც.

მატჩისას ისე ჩანდა, რომ ფეხბურთი მხოლოდ 25 წუთი იყო, შემდეგ კი...

დასაწყისი მასპინძლებისა გამოდგა — გიორგი მეგრელაძეს ორჯერ შეეძლო გატანა, მაგრამ ჯერ ოდნავ ააცილა კარს, შემდეგ კი ზვიად სტურუამ ჰოკეის მეკარის სტილში — ფეხით აულო „მკვდარი" ბურთი, რასაც კუთხური მოჰყვა, ნაკუთხურალს — არეულობა და, სიტუაციაში ყველაზე კარგად ლევან თედიაშვილი გაერკვა — 1:0.

მართალია, „ბორჯომი" არაოპტიმალური შემადგენლობით იყო მოედანზე, მაგრამ გოლის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ გუნდი დადგა და ზღვისპირულ „შტორმს" მორჩილად ელოდა.

ერთ ხაზზე გამწკრივებული მცველები უხეშად ცდებოდნენ და მარტო გაგა ჩხეტიანი ოთხჯერ უშედეგოდ დარჩა მეკარესთან პირისპირ, ერთხელაც კონსტანტინე სეფიაშვილის შეცდომით ვერ ისარგებლა — ეს მომენტები ზღვისპირელთა თავდამსხმელმა გოლებამდე გაანიავა.

გოლები კი ჩხეტიანმა გაცუდებული მომენტების მერე და ერთმანეთის ტყუპისცალი გაიტანა — ჯერ ლაშა ქებაძემ, შემდეგ კი ირაკლი ცანავამ მეკარესთან პირისპირ დატოვეს და გაგამაც ორწუთიან ინტერვალში გაცუდებული მომენტები აინაზღაურა.

ამ დროისთვის მასპინძლები მოედანზე ათნი იყვნენ — ვლადიმერ ხაჩიძემ სამი შეცვლა რომ გააკეთა, მალევე დავით გოგიჩაიშვილი დაშავდა და...

ჯერ თერთმეტმეტკაციანი „ბორჯომი" არ ეწინააღმდეგებოდა მეტოქეს, ათკაციანი კი მარცხს საბოლოოდ შეეგუა. უკმაყოფილო მხოლოდ მაყურებელი დარჩა, რომლის ნაწილმაც ნაადრევად დატოვა სტადიონი...

თბილისი. 15 მარტი. 15 საათი. მერანი. 150 მაყურებელი

## მერანი 0:2 დინამო

0:1 ოდიკაძე (27), 0:2 მერებაშვილი (90)

**მერანი:** თევდორაძე, სარალიძე, გ. ლოლაძე, გიგაური, ლ. გრიგალაშვილი (თავბერიძე 46), მ. კობერიძე, ქემაშვილი, ჯანგიძე, ბესარაშვილი (იაგო დეისაძე 67), მ. ჟღენტი, ი. შენგელია
*სათადარიგონი:* დგებუაძე, ფურთუხია, იაკობ დეისაძე, ქოქიაშვილი, ტიელიძე
**მწვრთნელი:** დავით ეჯიბიშვილი

**დინამო:** ოვონო, შ. კაშია, კრშკო, ზელიჩი (გ. კაშია 62), დობეში, დიღმელაშვილი, ხმალაძე, ოდიკაძე (თომაშვილი 90), გ. მერებაშვილი, მ. ხუციშვილი, ვაწაძე
*სათადარიგონი:* გ. ლორია, ვ. გველესიანი, ფირცხალავა, ქანთარია, ნერგაძე
**მწვრთნელი:** დუშან უჰრინი

**გაფრთხილება:** კრშკო (51), ჟღენტი (54), გიგაური (58)

**მსაჯები:** პ. დოგრაშვილი, ზ. ჯვარიძე, ზ. ერქვანია, ზვ. ასკაროლლი

**დამკვირვებელი:** პ. ბურჯალიანი

**ნუკრი ლოლაძე**

**„მერანს"** გავარდნის საშიშროება აქვს, „დინამოს" კი ჩემპიონობა სურს და ამიტომ მთელი მატჩი დიდ ბრძოლაში გაილია.

შედეგის შემხედვარემ ეგებ იფიქროთ, რომ „დინამომ" ადვილად მოიგო, მაგრამ ასე არ იყო — დუშან უჰრინის გუნდს მეტოქის დაჩაგვრა გაუჭირდა.

პირველ ნახევარში „დინამოს" უპირატესობა შეიმჩნეოდა, რაც იმაში გამოიხატა, რომ რამდენიმე კუთხური ჩააწოდეს და ერთხელ დავით ოდიკაძის ჩაწოდებულს მათე ვაწაძემ წაარტყა თავი, თუმცა კარს ააცილა.

27-ე წუთზე დინამოელებმა გაიტანეს. დავით დიღმელაშვილმა გრძელი გადაცემით მეკარესთან პირისპირ დატოვა ოდიკაძე და მანაც აუღელვებლად თავზე გადაავლო ბურთი რევაზ თევდორაძეს — 0:1.

აქვე ერთი ფაქტი გვინდა, მოგახსენოთ: მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში მოედნის გარეთ მყოფი პატრული დავით ოდიკაძეს რუპორით ამხნევებდა, მითითებებს აძლევდა და გოლის ავტორს, საღოლ, ოდოო, მიაძახა.

დამეთანხმებით, იშვიათი შემთხვევაა...

მე-40 წუთზე გიორგი მერებაშვილს რევაზ თევდორაძე ფეხებში ჩაუვარდა და ბურთი აართვა. დინამოელი დაეცა, პენალტს ითხოვდა, თუმცა მსაჯმა თამაში გააგრძელა...

მეორე ნახევარში „მერანი" ბურთს მეტად აკონტროლებდა, შეტევასაც ცდილობდა, თუმც სიმწვავე აკლდა.

66-ე წუთზე ოდიკაძემ ვაწაძის გადაცემის შემდეგ კიდევ გაიტანა, თუმც თამაშგარის გამო გაუუქმეს.

მატჩი დასასრულისკენ მიდიოდა, როცა „დინამომ" ბეწვის ხიდზე გაიარა. დინამოელთა მცველებმა უყურადღებოდ ითამაშეს და მერანელ ლაშა ჯანგიძეს გატანის ურეალურესი შანსი მისცეს, თუმც მან ახლო მანძილიდან ბურთი ხარიხას გაარტყა.

ვერ გაიტანა „მერანმა" და ბოლო წუთზე მერებაშვილმა მასპინძლები დასაჯა — მარცხენა ფეხით დაბალ კუთხეში შეაგდო.

# ქარიან-ცარიელი ქაოსი

გორი. 15 მარტი. 15 საათი. ქართლი. 50 მაყურებელი

## სპარტაკი 0:0 მგლები

**სპარტაკი:** ქვილითაია, დათუნაშვილი (ვ. კვარაცხელია 46), ხაჭიპერაძე (ტყეშელაშვილი 46), ქემოკლიძე, მამუკაშვილი, ხიდაშელი, ძარია, თარხნიშვილი, გოგოხია (კუპრეიშვილი 82) ბახტურიძე, მ. ლონლაძე
*სათადარიგონი:* კოდალაევი, ვ. ქორიძე, თექთუმანიძე, ზ. ხიზანიშვილი
**მწვრთნელი:** კობა ჟორჟიკაშვილი

**მგლები:** ივარდავა, ზ. ექონია, ჟვანია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, ჭკადუა, ვართაგავა, ხოხონიშვილი, წურწუმია (ჯანაშია 81), კრასოვსკი, კუტალია (ქომეთიანი 16)
*სათადარიგონი:* ჭითანავა, გ. ექონია, ხუხია, ჯიშკარიანი, კუჭუხიძე
**მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია

**გაფრთხილება:** თარხნიშვილი (21), ხოხონიშვილი (36), ჟვანია (43), ვართაგავა (78)

**მსაჯები:** დ. ხარიტონაშვილი, ლ. მიქელაძე, კ. ბერაძე, კ. ჭაჭუა

**ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან**

**გორში** ძალიან ძლიერი და ცივი ქარი ჰქროდა, რამაც, ცხადია, გავლენა იქონია თამაშზე — ფეხბურთელებს საკმაო პრობლემები შეექმნათ. ამის მიუხედავად, მატჩი მძაფრი ორთაბრძოლებით გამოირჩა. ორივე გუნდი თავდაუზოგავად იბრძოდა, თუმცა [illegible]ბი ვერ ვიხილეთ.

თავიდან სტ[illegible] აქტიურობდნენ და მცირ[illegible] ორიული უპირატესობაც მო[illegible]ვეს...

მე-11 წუთზე პირველი სახიფათო მომენტი შეიქმნა — კუტალიამ დაახლოებით 20 მეტრიდან დაარტყა „სპარტაკის" კარში. ბურთის ფრენის ტრაექტორია ქარმა გვარიანად შეცვალა და რომ არა ქვილითაიას თავგანწირული ნახტომი, ანგარიში გაიხსნებოდა.

თანდათან „სპარტაკმაც" გააქტიურა თამაში ნახევარდაცვაში და ტაიმის ბოლო 15 წუთი უკვე მისი კარნახით წარიმართა. 27-ე წუთზე მამუკა ლონლაძე ვალდებული იყო, თავისიანები დაეწინაურებინა — გოგოხიას ფლანგური ჩაწოდების შემდეგ 7-8 მეტრიდან დაარტყა და კარს გადააცილა. ხუთიოდე წუთში თორნიკე თარხნიშვილმა შორეული დარტყმა განახორციელა, რომელიც გაჭირვებით მოიგერია მანუჩარ ივარდავამ. 43-ე წუთზე კი ირაკლი ძარიას წაქცევისთვის დანიშნული საჯარიმო დარტყმა გოგოხიამ ოდნავ ააცილა ზუგდიდელთა კარს.

მეორე ნახევრიდან კობა ჟორჟიკაშვილმა ორი თავდამსხმელი შეიყვანა მოედანზე, რამაც ნაწილობრივ გამოიღო შედეგი. ნაწილობრივ იმიტომ, რომ „სპარტაკის" შეტევები კი გაძლიერდა, მაგრამ სახიფათო მომენტების რაოდენობა არ გაზრდილა. ზუგდიდელები კი კონტრშეტევების იმედად დარჩნენ.

მასპინძლები გამუდმებით უტევდნენ, რომ იტყვიან, სტუმართა ნახევარზე დასახლდნენ, მაგრამ გოლის გატანას ვერ ახერხებდნენ, რადგან სტუმრები ფხიზლად იცავდნენ კარს და დაცვაში თითქმის უშეცდომოდ თამაშობდნენ.

მეორე ნახევარში ორი მომენტი მაინც იყო აღსანიშნავი: 65-ე წუთზე რევაზ ქემოკლიძის შეცდომა კინაღამ ძვირად დაუჯდათ მასპინძლებს, რადგან წურწუმიამ სახიფათოდ დაარტყა, მაგრამ ქვილითაია ადგილზე დახვდა ბურთს, 73-ე წუთზე კი გიორგი ხიდაშელის მიერ საჯარიმოდან დარტყმულმა ბურთმა ახლოს ჩაუქროლა ზუგდიდელთა კარს.

ბოლო წუთებმა ქაოსურ შეტევებში ჩაიარა და მატჩიც ნულოვანი ფრით დასრულდა — 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 15 | 0 | 2 | 44:9 | 45 |
| ვიტ ჯორჯია | 17 | 14 | 1 | 2 | 31:9 | 43 |
| ზესტაფონი | 17 | 12 | 3 | 2 | 32:10 | 39 |
| ოლიმპი | 17 | 9 | 3 | 5 | 17:12 | 30 |
| ამერი | 17 | 9 | 2 | 6 | 26:18 | 29 |
| ბორჯომი | 17 | 8 | 4 | 5 | 22:17 | 28 |
| მესხეთი | 17 | 7 | 3 | 7 | 17:22 | 24 |
| მგლები | 17 | 7 | 2 | 8 | 16:19 | 23 |
| სიონი | 17 | 5 | 5 | 7 | 20:20 | 20 |
| სპარტაკი | 17 | 4 | 4 | 9 | 7:18 | 16 |
| მერანი | 17 | 4 | 1 | 12 | 8:27 | 13 |
| ლოკომოტივი | 17 | 3 | 3 | 11 | 10:24 | 12 |
| ბათუმი | 17 | 2 | 3 | 12 | 8:31 | 9 |
| დილა | 17 | 1 | 4 | 12 | 7:29 | 7 |



შვიდი წელია, საქართველოში გარიგებული მატჩი არ უმხელიათ და არა გვგონია, ასე იმიტომ ყოფილიყოს, რომ ჩვენი ფეხბურთი ამ საზიზღარი სენისგან განთავისუფლდა. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ გარიგებული მატჩის გამოაშკარავება ურთულესი საქმეა — როგორც წესი, სამხილები ვერ გროვდება ხოლმე. გუშინ კი შევიტყვეთ, რომ სამშაბათს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის საგანგებო სხდომაა მოწვეული, რომლის თემაც სწორედ გარიგებულ მატჩებთან ბრძოლის მექანიზმის შემუშავება იქნება და სიმართლე გითხრათ, აღმასკომის სხდომას ასეთი ინტერესით არასდროს დაველოდებივართ. ხოლო თუ ამ სხდომის მერე გარიგებულ მატჩებთან რეალური ბრძოლა დაიწყება და ჩამწყობებიც ემხილებიან, ალალად ვიტყვით, რომ ფედერაციამ და პროფლიგამ დიდ წარმატებას მიაღწიეს. აღმასკომის საგანგებო სხდომის მთავარ თემაზე სასაუბროდ კი გუშინ ფედერაციის პრეზიდენტ ნოდარ ახალკაცს დავურეკეთ...

# არავის მივცემთ მიცემის უფლებას!

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა გარკვეული კონსულტაციების შემდეგ მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საქართველოში ჩაწყობილ-გარიგებული მატჩების გამოვლენისა და ამის წინააღმდეგ ბრძოლის სათანადო მექანიზმების მოძიებისთვის მოვიწვიოთ აღმასკომის საგანგებო სხდომა. 18 მარტის აღმასკომზე ჩვენ სწორედ ამ საკითხზე ვიმსჯელებთ და მაქსიმალურად ვეცდებით, გამოვნახოთ ის გზები, რომლებიც საეჭვო თამაშების გამოვლენაში დაგვეხმარება. ჩვენ სათანადო ზომებს მივმართავთ და აღმასკომის სხდომაც ამის ერთ-ერთი დასტურია.

**— რაკი საგანგებო აღმასკომი მოიწვიეთ, ალბათ მოფიქრებულიც გაქვთ ის მექანიზმები, რითაც შეგიძლიათ, გამოავლინოთ ჩაწყობილი მატჩები...**

— მოდით, მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. ჩვენ მართლაც გვაქვს ჩაფიქრებული რამდენიმე პრევენციული ღონისძიება ამ პრობლემის მოსაგვარებლად და იმედია, მას ეფექტურად გამოვიყენებთ.

**— მაინცდამაინც ახლა რატომ გადაწყვიტეთ საგანგებო აღმასკომის ჩატარება, საამისოდ რაიმე მიზეზი ამ დღეებში ხომ არ გქონდათ?**

— ფედერაციამ და პროფლიგამ საჭიროდ ჩათვალეს, რომ დაგვიანება აღარ შეიძლება და ამიტომაც ახლა ვატარებთ ამ საგანგებო სხდომას. იყო საამისო საფუძველი და აღმასკომიც ამიტომ მოვიწვიეთ.

**— შესაძლოა, ხვალ რომელიმე გუნდი დაისაჯოს კიდეც?**

— ჯერ ვერ გეტყვით... ჩვენ ვიმსჯელებთ იმაზე, თუ როგორ შევძლია მოვიპოვოთ ის მტკიცებულებები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს, გამოვრიცხოთ ან გამოვავლინოთ წინასწარ გარიგებული მატჩები. ჩვენ ჩემპიონატის პოპულარიზაცია-განვითარებაზე ვზრუნავთ, საამისოდ ყველაფერს ვაკეთებთ და არავის მივცემთ უფლებას შრომა წყალში ჩაგვიყაროს!

**— აღმასკომზე მხოლოდ ამ საკითხზე ისაუბრებთ?**

— ნაკრებთა მწვრთნელებსაც დავამტკიცებთ. თუმცა ეს უფრო ფორმალობა იქნება, რადგან მწვრთნელთა დანიშვნას აღმასკომის თანხმობა სჭირდება. მთავარი კი ჩაწყობილ-გარიგებულ თამაშებთან ბრძოლაზე მსჯელობა იქნება.

**კობა ინასარიძე**



გიორგი დემეტრაძემ გოლის გემო გაიხსენა

# რუსებმა ქართველები აურ-დაურიეს

**გასულ** უქმეებზე ჩემპიონატი რუსეთშიც გახურდა და ქართველ ლეგიონერთა რიცხვმაც იმატა. შეიძლება ითქვას, უქმეები ბარაქიანიც გამოდგა. სანამ მეგოლეებზე ვისაუბრებდეთ, ელიტ-ლიგებზე ვთქვათ...

**კახა კალაძის** „მილანი" „რომას" სტუმრობდა და კაკას გოლით იგებდა კიდეც, მაგრამ სამ წუთში ორი ბურთი გაუშვა და წააგო, რითაც საჩემპიონთალიგო ოთხეულში ადგილი დაკარგა.

კალაძემ 90 წუთი ითამაშა.

გერმანიის ბუნდესლიგაში **ლევან კობიაშვილის** „შალკემ" თამაში შემოუბრუნა „დუისბურგს" და 2:1 მოუგო, თუმცა ეს ჩვენებურის გარეშე მოახერხა.

**ალექსანდრე იაშვილის** 90-წუთიანი აქტიურობა კი მის „კარლსრუეს" დიდად ვერ დაეხმარა და „აინტრახტთან" 0:1 წააგო.

მეორე ბუნდესლიგაში ყველა ქართველმა იუქმა: **ილია კანდელაკის, გიორგი ონიანისა და გიორგი სეთურიძის** „კარლ ცაისი" სტუმრად 1:2 დამარცხდა „ოფენბახთან". ტრავმირებული **მათე ღვინიანიძის** „მიუნხენ 1860" კი შინ დაუზავდა (1:1) „მაინცს".

როგორც იქნა, მოიგო **გიორგი შაშიაშვილის** „შტურმმა" და ჩემპიონობისთვის ბრძოლის შანსი შეინარჩუნა. ორმატჩიანი პაუზის შემდეგ ჩვენებური „რიდთან" (2:0) მატჩში დაბრუნდა და სრულად ითამაშა.

ინგლისურ „ბლექბერნში" **ზურაბ ხიზანიშვილმა** მეორე ტაიმი ითამაშა. „ვარდები" მატჩს კი იგებდნენ, მაგრამ მასპინძელთა დაწოლას ვეღარ გაუძლეს და 1:2 დათმეს.

როგორც იქნა, გაიმარჯვა შვეიცარიის ჩემპიონატში ბოლო ადგილზე მყოფმა „თუნმა", რომელმაც სტუმრად 2:0 მოუგო „ქსამაქსს", თუმც **სანდრო იაშვილი** მოედანზე არ გასულა.

რუსეთის პრემიერლიგა კი ქართული გოლებით დაიწყო, თუმც კარგადაც და ცუდადაც.

**ალექსანდრე ამისულაშვილის, გოგიტა გოგუასა და დავით სირაძის** „ნალჩიკმა" სამქულიანი სტარტი აიღო და 2:1 მოუგო „სატურნს", არადა, მეორე წუთზე აგებდა. ეს გოლი რუსეთის საფეხბურთო კავშირის ვებგვერდმა ამისულაშვილის ავტოგოლად ჩათვალა, პროფესიულმა ლიგამ კი ნახუშევს მიაწერა. საპირისპირო მოხდა გამთანაბრებელზე. კავშირი გოლს გოგუას უთვლის, ლიგა — ფილატოვს. სრულიად განსხვავებული აზრია ნალჩიკელთა ვებგვერდზე — ამისულაშვილს ავტოგოლად უთვლის, გამთანაბრებელს კი სულაც ჯუდოვიჩს მიაწერენ.

მოკლედ, იმედია, ყველაფერი მალე გაირკვევა.

ამისულაშვილმა და გოგუამ სრულად ითამაშეს, სირაძე კი 58-ე წუთზე შეცვალეს.

„სუფთა" ქართული გოლი **ლევან გვაზავამ** გაიტანა, რომლის „ლუჩ-ენერგია" 1:0 უგებდა „მოსკვას", თუმც საბოლოოდ — 1:1.

**მალხაზ ასათიანისა და დავით მუჯირის** „ლოკომოტივმა" **ლაშა სალუქვაძის, ნუკრი რევიშვილისა და დავით კვირკველიას** ყაზანის „რუბინს" უმასპინძლა და 0:1 დამარცხდა. სტუმართაგან მხოლოდ კვირკველიამ ითამაშა და დებიუტი საგოლე პასით აღნიშნა. მასპინძელთაგან კი მოედანზე დავით მუჯირი ბოლო 16 წუთი გამოჩნდა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ უკრაინის ჩემპიონატში გაიტანა **გიორგი დემეტრაძემ**, რომელმაც სასტარტოში დაიწყო და 51-ე წუთზე შეცვალეს. მისმა „არსენალმა" კი 3:2 მოუგო **ლაშა ჯაკობიას** „ვორსკლას".

ჯაკობიამ ტრავმის გამო იუქმა.

**კახა ალადაშვილის** „ხარკოვი" შინ „ტავრიას" (1:1) დაუზავდა, ალადაშვილმა 90 წუთი იბურთავა.

„დნიპრო" — „ზარიას" (1:0) მატჩში **ჯაბა კანკავას, სანდრო კობახიძესა და ვლადიმერ ბურდულის** არ უთამაშიათ. დნიპროელები განაცხადში იყვნენ, ბურდული კი წინა დღით სარეზერვო გუნდში გაასარჯა.

აზერბაიჯანის ჩემპიონატში მოთამაშე უამრავი ქართველიდან მხოლოდ **დავით ბოლქვაძე** გამოირჩა. მისი „სიმურგი" სწორედ ჩვენებურის გატანილი პენალტით დაწინაურდა და საბოლოოდ 3:0 მოუგო „გიანჯლარბირლიის".

როგორც იქნა, მოიგო **კახა ცხადაძის** „სტანდარდმა", თანაც ვისთან, სტუმრად „ბაკუ" დაჯაბნა (1:0) და პატარა სენსაციაც გამოიწვია. ეს ფაქტი იმითაც არის გამორჩეული, რომ „სიონის" მწვრთნელობისას ცხადაძემ სწორედ „ბაკუს" ხელით ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე და მეტოქის მწვრთნელ ბოიუკაგა გაჯიევთან შეხლაც მოუვიდა.

ისევ გაიტანა მოლდოვის ჩემპიონატში **ჯაბა დვალმა**. მისმა და **ლევან კორღალიძის** „დაჩიამ" კი სტუმრად 3:0 მოუგო „ცხკა-სტიაუას" და კვლავ ოთხი ქულით ჩამორჩება ლიდერ **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფს", რომელმაც „ტირასპოლს" სტუმრად 2:0 მოუგო.

7:0 მოიგო **მამუკა ლომიძის** „ხომბრუმ" „ოლიმპიასთან" და მეოთხე ადგილზე გამაგრდა.

მე-9 კვიპროსული გოლი მიითვალა **ლევან ქებაძემ**, თუმც მისი გოლები „ეთნიკოსს" ბლოკ ოფში მოსახვედრად ვერ შველის. გუშინ „ეთნიკოსმა" 2:1 მოუგო ნიქოზიის „ოლიმპიაკოსს" და ქებაძემ გამარჯვებისა გაიტანა.

5:0 მოიგო **თემურ ქეცბაიასა და კლიმენტი წიტაშვილის** „ანორთოსისმა" „ნეა სალამინასთან" და კვლავაც პირველ ადგილზეა.

მეოთხეადგილოსანმა **ლევან მაღრაძის** „აპოლონმა" კი სტუმრად 1:3 დათმო „არისთან".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**


თქვენი ინტერვიუ

ლევან ყენიასთან

«შალკე» გელზენკირხენი, გერმანია

რუბრიკის მორიგ რესპონდენტ ლევან ყენიასთან კითხვები გამოგზავნეთ 31 მარტის ჩათვლით. დაუსვით თქვენთვის საინტერესო კითხვა ქართული ფეხბურთის ერთ-ერთ იმედს და მიიღეთ პასუხები...

მოგვმართეთ ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: geo_geo_fan@hotmail.com




# საქართველოს ჩემპიონატი სუპერლიგა. XXI ტური

**16 მარტი**
**სპორტის სასახლე**

**დინამო 85:73 თსუ**
*23:21 21:16 20:20 21:16*

**დინამო:** ელენტი (9), გულისაბედაშვილი (12), ლაფანაშვილი (24), სანიკიძე (25 ქულა, 13 მოხსნა), ათანელაშვილი (6); ახალკაცი (5), მაისურაძე (4)
**თსუ:** დ. ბერიშვილი (2), ხეცურიანი (13), კეიდია (5), ბარბაქაძე (21), ყველაშვილი (10); ფანჩულიძე (6), არწივიძე (3), კოხრეიძე (3), ხიზანიშვილი (3), ტყეშელაშვილი (7), ბ. ნოზაძე
მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, ხათუნა გაბედავა
კომისარი: მურმან ქურიძე

**ვითა 87:80 ენერჯი-ინვესტი**
*23:19 27:14 8:20 29:27*

**ვითა:** მარხვაშვილი (14), მარკოივშილი (13), გვიმრაძე (9), მ. ბერიშვილი (31) ლ. ნოზაძე (5); ნ. ნოზაძე (10), ძიძიგური (4), ბეჟანიშვილი (1)
**ენერჯი:** გამყრელიძე (7 ქულა, 11 მოხსნა), ბოისა, ლეჟავა (12), ბაბიაშვილი (10), სტეფანოვი (28 ქულა, 18 მოხსნა); ტუჯანი (12), ჩიტაშვილი (6), ჭოჭუა (3), გოგობერიშვილი (1), დიდია (1)
მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, დავით არეშიძე
კომისარი: თენგიზ ქიქოძე

**მაკაბი 63:87 ავიამშენი**
*15:24 19:18 19:21 10:24*

**მაკაბი:** ი. ბერიშვილი (10), სორდია (6), კორკოტაძე (1), ს. შერმადინი (11), გ. შერმადინი (21); პირველაშვილი (11), კოლაშვილი (3), იოსელიანი, აშმედიანი, ჯიქია
**ავიამშენი:** ტულუში (11 ქულა, 13 მოხსნა, 11 პასი), ნიკოლაძე (20), ნინიაშვილი (5), იმნაძე (7), როდუმტა (1); ბერაია (15), ხომტარია (17), კვიმსაძე (3), მათიაშვილი (8)
მსაჯები: მაკა კუპატაძე, გურამ მიქელაძე
კომისარი: როლანდ ხომერიკი

## სამსახიობო ტური: მიშა, ვიკა და კოტე

**ესეც** მეორე სამმაგი დუბლი — და ისევ კოტე ტულუშისგან! „ავიამშენის" გამთამაშებელმა უკვე მეორედ უწია „ტრიპლ-დაბლს", რაც მიმდინარე სეზონში მის გარდა ჯერ არავის მოუხერხებია. ეს ამბავი, თორემ სხვანაირად „მაკაბი" — „ავიამშენის" მატჩი ვერაფრით გახლდათ გამორჩეული. შერმადინი რომ შერმადინია, ვერც მან იბურთავა გემოზე და ხუთი პერსონალურის გამო თამაში მესამე მეოთხედში დაასრულა. „ავიამშენმაც" თავის ტკივილის გარეშე, დინჯად და აულელვებლად მიითვალა მორიგი გამარჯვება და მეორე ადგილზე მყოფ თსუ-ს წამოეწია.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდს, მგონი, სპონსორის გამოჩენამ აწყინა. თსუ მანამდე უფრო ჯიგრით და შედეგიანად თამაშობდა, სანამ „სახალხო ბანკი" მის სპონსორობას იკისრებდა. ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა ბოლო მატჩების უმეტესობა წააგეს, გუშინ კი სულაც „დინამოსთან" შერცხვნენ, გუნდთან, რომელიც, სტუდენტებისგან განსხვავებით, გვარიან პროგრესს განიცდის.

დინამოელთა აღმასვლის მიზეზი ერთი ადამიანია. მართალია, ძნელია, ერთ კაცს აჰკიდო ამხელა პასუხისმგებლობა, როცა საქმე გუნდურ თამაშს ეხება, მაგრამ ეს სწორედ ასეთი შემთხვევაა. „დინამო" ისევ ის გუნდია, რაც სეზონის დასაწყისში იყო, უბრალოდ, ზაზა ცაგარეიშვილის სამწყსოს ვიქტორ სანიკიძე დაემატა, რომელიც ტრავმის გამო უცხოურ კლუბში ვერ მოეწყო და როცა მწყობრში ჩადგა, სატრანსფერო ფანჯარა დახურული იყო. ჰოდა, სანიკიძე უკვე ჯანმრთელადაა და მისი ჩაუქობა „დინამოს" შედეგზეც პირდაპირპროპორციულად აისახა.

„ვიკა" არ გვყოლოდა, ვნახავდით, როგორ მოვუგებდით თსუ-ს" — გვითხრა დინამოელთა მწვრთნელმა, როცა ნამატჩევს მისალოცად მივედით. სანიკიძემ 25 ქულითა და 13 მოხსნით დაამთავრა მატჩი, მაგრამ მხოლოდ ეს სტატისტიკა ვერ ასახავს მის უდიდეს წვლილს სტუდენტების დამარცხებაში. „ვიკამ" 37 წუთი გაატარა მოედანზე (ამდენი ამ სეზონში არ უთამაშია) და თსუ-ს მატჩის გადარჩენის ყველა შესაძლებლობა ჩაუშალა.

გასული ტურის საუკეთესო სანიკიძე გუშინაც ირგუნებდა ამ ტიტულს, რომ არა ვითელი მიხეილ ბერიშვილის გმირული თამაში ჩემპიონატის ლიდერ „ენერჯი-ინვესტთან". „ვითამ" მოქმედ ჩემპიონს წინა მატჩი რუსთავში მოუგო, გუშინ კი რევანშისტულად განწყობილი ქვემოქართლელები ისევ დაამარცხა და ამაში ყველაზე დიდი წვლილი 31 ქულის მომხვეჭ ბერიშვილს მიუძღვის.

ყველაზე მნიშვნელოვანი ბერიშვილის ბოლო გაელვება იყო, როცა ერთხანს 20 ქულით ჩამორჩენილმა „ენერჯი-ინვესტმა" ბოლო წუთებზე სხვაობა ორამდე შეამცირა და ბერიშვილს რომ არ ეყოჩაღა, „ვითას" მთელი ნაჯაფარი წყალში ჩაეყრებოდა. საფინალო სირენამდე 3 წუთით ადრე რუსთაველთა ლიდერმა იოვან სტეფანოვმა მორიგი სამქულიანით „ენერჯი" მეტოქეს 72:74 მიაახლოვა და... ბერიშვილმა ჯერ სამიანი გატყორცნა, მერე მეტოქეს დააფარა და ბოლოს ვითელთა კონტრშენტევა იმგვარი ორქულიანით დააგვირგვინა, რომელსაც საბონუსე ჯარიმა მოჰყვა. მიშას აზვირთების შემდეგ „ვითას" უპირატესობა ათ ქულამდე გაიზარდა, რუსთაველებს კი ამ დეფიციტის აღმოსაფხვრევად საკმარისი დრო აღარ ჰქონდათ.

**ირაკლი პერტაია**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ენერჯი | 21 | 17 | 4 | 38 |
| თსუ | 21 | 12 | 9 | 33 |
| ავიამშენი | 21 | 11 | 10 | 32 |
| ვითა | 21 | 10 | 11 | 31 |
| დინამო | 21 | 9 | 12 | 30 |
| მაკაბი | 21 | 4 | 17 | 25 |

# NBA რეგულარული ჩემპიონატი

**14 მარტი**

**ატლანტა 117:93 კლიპერსი**
ატლანტა: ბიბი (14 ქულა, 14 პასი), ჯონსონი (28), უილიამსი (12), სმიტი (25), ჰორფორდი (6); ჩილდრესი (14), ლოუ (10), ფაჩულია (20 წუთი, 5 ქულა, 10 მოხსნა, 2 პასი), რიჩარდსონი
კლიპერსი: ნაითი (2), მობლი (10), მაგეტი (14), პაუელი (9), ტომასი (18); ტორნტონი (18), დიკაუ (10), პარკერი (10), როსი (2), ფაზეკაში

**მაიამი 94:103 ორლანდო**
მაიამი: უილიამსი (34)
ორლანდო: ნელსონი (21), თურქოღლუ (20), ჰოვარდი (18 ქულა, 16 მოხსნა), ლუისი (15)

**ბოსტონი: 92:110 იუტა**
ბოსტონი: გარნეტი (15), პერკინსი (13)
იუტა: უილიამსი (32), ბუზერი (17 ქულა, 12 მოხსნა)

**დეტროიტი 84:80 სან ანტონიო**
დეტროიტი: ჰამილტონი (25), ჰონსი (17)
სან ანტონიო: პარკერი (26), დანკანი (20 ქულა, 10 მოხსნა)

**ნიუ ორლეანი 108:98 ლეიკერსი**
ნიუ ორლეანი: პოლი (27 ქულა, 17 პასი, 4 ჩაჭრა), სტოიაკოვიჩი (15), ჩანდლერი (13 ქულა, 20 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (36), ოდომი (15 ქულა, 13 მოხსნა)

**ჩიკაგო 106:110 ფილადელფია**
ჩიკაგო: დენგი (21), სეფოლოშა (20), გუდენი (16), ჰიუზი (15)
ფილადელფია: იგუდალა (25), მილერი (18), კერნი (18)

**დალასი 116:97 ინდიანა**
დალასი: ნოვიცკი (21), ჰორვარდი (18), სტეკჰაუსი (14), ტერი (14), კიდი (9 ქულა, 7 მოხსნა, 12 პასი)
ინდიანა: მიურეი (20), დანლივი (18)

**ჰიუსტონი: 89:80 შარლოტი**
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (30), ალსტონი (17), სკოლა (13)
შარლოტი: რიჩარდსონი (28), ოკაფორი (23), ვოლესი (16)

**დენვერი 137:105 ტორონტო**
დენვერი: აივერსონი (28), ენტონი (22), კემბი (17 ქულა, 10 მოხსნა, 6 პასი), ეტკინსი (17)
ტორონტო: პარკერი (19), დელფინო (16), ნესტეროვიჩი (15)

**სიეტლი 116:121 მინესოტა**
სიეტლი: დურანტი (24), უილკოქსი (2[illegible]), გრინი (18)
მინესოტა: გომესი (23 ქულა, 15 მოხსნა), ფოი (26), ჯეფერსონი (16)

**15 მარტი**

**ფილადელფია 103:96 სან ანტონიო**
ფილადელფია: მილერი (32), იგუდალა (25)
სან ანტონიო: პარკერი (27), ჯინობილი (22), დანკანი (16)

**ვაშინგტონი 119:109 კლიპერსი**
ძირითადი დრო 100:100
ვაშინგტონი: ჯემისონი (36 ქულა, 11 მოხსნა), ბატლერი (16 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი)
კლიპერსი: მაგეტი (34), ტომასი (17), პაუელი (14)

**ორლანდო 122:111 ინდიანა**
ორლანდო: თურქოღლუ (27), ლუისი (22), ევანსი (19), ჰოვარდი (18 ქულა, 12 მოხსნა)
ინდიანა: გრეინჯერი (27), დანლივი (16), მერფი (15)

**ნიუ ჯერსი 117:115 იუტა**
ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (27), კარტერი (25), ბუნი (21 ქულა, 13 მოხსნა), ჰარისი (19 ქულა, 8 მოხსნა, 12 პასი), ნახბარი (16)
იუტა: ბუზერი (41 ქულა, 9 მოხსნა), კორვერი (18), ოქური (17), ბრიუერი (14), უილიამსი (11 ქულა, 16 პასი)

**მილუოკი 77:99 ბოსტონი**
მილუოკი: ბელი (16), რედი (15)
ბოსტონი: გარნეტი (19), ჰაუსი (17), პირსი (13)

**ფინიქსი 127:99 საკრამენტო**
ფინიქსი: სტუდემაიერი (30 ქულა, 10 მოხსნა), გირიჩეკი (23), ნეში (18), ონილი (17 ქულა, 8 მოხსნა), ბარბოსა (17)
საკრამენტო: არტესტი (26 ქულა, 9 მოხსნა, 5 ჩაჭრა), მარტინი (16)

**პორტლენდი 107:96 მინესოტა**
პორტლენდი: ოლდრიჯი (26), როი (25), აუთლოო (17)
მინესოტა: იარიჩი (19), ჯეფერსონი (18 ქულა, 11 მოხსნა), გომესი (16)

**გოლდენ სტეიტი 110:107 მემფისი**
გოლდენ სტეიტი: ჯექსონი (21), დევისი (19), ელისი (17)
მემფისი: უორიკი (23), გაი (20 ქულა, 11 მოხსნა), ნავარო (20), მილერი (19 ქულა, 13 მოხსნა)

**ველორბოლა**

# ხუთნი მეხუთეზე

**საქართველოს** ველოსიპედისტთა ნაკრებმა ირანის საერთაშორისო ველორბოლაზე 15 ქვეყანას შორის მე-5 ადგილი დაიკავა. ირანში 5 ქართველი სპორტსმენი იმყოფებოდა — გიორგი ნადირაძე, არჩილ მახარაშვილი, ნოდარ ყვავაძე, კახაბერ ლოცაურაშვილი და სერგო მურჯიკნელი. ინდივიდუალურ ჩათვლაში ჩვენებურთაგან უკეთესი შედეგი გიორგი ნადირაძემ აჩვენა. მან ორ ეტაპზე მესამე ადგილი დაიკავა.

უახლოეს მომავალში ველომრბოლთა ნაკრებს თურქეთის საერთაშორისო ტურნირი ელის, სადაც საპეკინო ლიცენზიები გათამაშდება. იქ, სავარაუდოდ, ერთი ქართველი წავა.

**ლექსო მაისურაძე**

**ჭადრაკი**

## ამბერის ტურნირი

**ნიცა.** საფრანგეთი. 14 — 28 მარტი

**I ტური**

| | | |
|---|---|---|
| ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) | 0,5:0,5, 1:0 | ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი) |
| შაჰრიარ მამედიაროვი (აზერბაიჯანი) | 0,5:0,5, 0,5:0,5 | ალექსანდრ მოროზევიჩი (რუსეთი) |
| ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) | 1:0, 0,5:0,5 | პეტერ ლეკო (უნგრეთი) |
| ბორის გელფანდი (ისრაელი) | 0:1, 0,5:0,5 | სერგეი კარიაკინი (უკრაინა) |
| ლევონ არონიანი (სომხეთი) | 0,5:0,5, 1:0 | ლუკ ვან ველი (ჰოლანდია) |
| მაგნუს კარლსენი (ნორვეგია) | 0:1, 0,5:0,5 | ვასილ ივანჩუკი (უკრაინა) |

**პირველად მოცემულია დაფაზედაუხედავი პარტიების შედეგები**

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. ვიშვანათან ანანდი | 1,5 | 7. ალექსანდრ მოროზევიჩი | 1 |
| 2. ლევონ არონიანი | 1,5 | 8. მაგნუს კარლსენი | 0,5 |
| 3. ვასილ ივანჩუკი | 1,5 | 9. ბორის გელფანდი | 0,5 |
| 4. სერგეი კარიაკინი | 1,5 | 10. ვლადიმირ კრამნიკი | 0,5 |
| 5. ვესელინ ტოპალოვი | 1,5 | 11. პეტერ ლეკო | 0,5 |
| 6. შაჰრიარ მამედიაროვი | 1 | 12. ლუკ ვან ველი | 0,5 |

**სუმო**

# ოსური ბარიერი

**გასულ** უქმეებზე სეზონის მეორე, ოსაკას ბაშოს მორიგი ორი ტური ჩატარდა და ელიტარულ, მაკუჩის დივიზიონს კვლავაც დაუმარცხებლად ლიდერობს მონღოლი იოკოძუნა ასასორიუ, ვისაც რვა ორთაბრძოლაში რვა გამარჯვება აქვს.

ასასორიუს კვალში შვიდმოგებიანთა კვარტეტი უდგას მეორე მონღოლი იოკოძუნა ჰაკუჰოს და რიგითი მაეგაშირების — ტაკამისაკარის, ტოჩიოძანის და ჰომასიოს შემადგენლობით.

ექვსი გამარჯვება ორი მარცხის წილ შვიდ სეკიტორის აქვს და მათ შორისაა ჩვენი ლევან ცაგურიაც. იაპონელებისგან კოკაიდ წოდებულმა ქართველმა ზედიზედ ხუთი გამარჯვების შემდეგ ორჯერ წააგო, თანაც ორივეჯერ ოსებთან — პარასკევს ჯაკანოჰასთან, შაბათს კი როჰოსთან. ორი მარცხის შემდეგ „შავი ზღვა" ავად ალელდა, ექს-სეკივაკე ამინისიკი დაჯაბნა და ლიდერთა ჯგუფში ადგილი შეინარჩუნა.

კოკაის მსგავსად, რვა ორთაბრძოლაში ორი მარცხი იწვნია ტოჩინოშინად წოდებულმა ლევან გორგაძემაც, ვინც ქვედა, ძურიოს დივიზიონიდან ელიტაში ასვლის რეალური კანდიდატია.



შაბათს ტოჩინოშინმა ჰაკუბა დაჩაგრა, კვირას კი თავად დამარცხდა და ისიც ოსთან, ჰაკუროძანად წოდებულ ბატრაზ ბორაზოვთან. დივიზიონის შვიდ-შვიდი მოგებით კი ტატაიკი და კიმურაიამა ლიდერობენ.

# წყალი იყო, ღვინო გახდა

## უელსის მეათე ექვსი ერი


ინგლისელმა სიპრიანიმ ირლანდიელები არ მოასვენა

### იტალია 23:20 შოტლანდია

**იტალია:** მარკატო, რობერტსონი, კანალე, ბერგამასკო, გალონი; მასი, პიკონე; პარისე (კაპ), ძანი, სოლი, ბორტოლამი, დელ ფავა, კასტრო ჯოვანი, ჯირალდინი, კიკერო

*სათადარიგონი:* ონგარო, პერუჯინი, ნიეტო, ერსმუსი, ტრავაგლი, პატრიციო, სგარბი

2ლ: საჯარიმო ლელო, კანალე; 2გ: მარკატო; 2ს: მარკატო; 1ა: მარკატო

**შოტლანდია:** საუთველი, დანიელი, ვებსტერი, მორისონი, პატერსონი; პარკსი, ბლეირი (კაპ); ტეილორი, ჰოგი, სტროკოჩი, მაკლეოდი, ჰაინესი, მურეი, ტომსონი, იაკობსენი

*სათადარიგონი:* ლეივსონი, დიკინსონი, სმიტი, ვაიტი, ბრაუნი, ლევსონი, ჰენდერსონი

2ლ: ჰოგი, ბლეირ; 2 გ: პატერსონი; 2ს: პატერსონი

### ინგლისი 33:10 ირლანდია

**ინგლისი:** ბელშევი, საქეი, ნუნი, ფლუდი, ვაინიკოლო; სიპრიანი, უიგლესვორდი; ესთერი, ლიპმანი, კროფტი, ბორდვიკი, შოუ, ვიკერი (კაპ), მეირზი, შერიდანი

*სათადარიგონი:* შუთერი, სტივენსი, კეი, ჰესკელი, ჰოდსგსონი, უილკინსონი, ტაიტი

3ლ: საქეი, ტაიტი, ნუნი; 3გ: სიპრიანი; 4ს: სიპრიანი

**ირლანდია:** მერფი, ბოუვი, ტრიმბლი, ხორგანი, კერნეი; ოჰარა (კაპ), რედანი; ჰეისლიფი, დ. უოლესი, ლამი, ოკონელი, ოკალაჰანი, ჰეიესი, ბესტი, ჰორანი

*სათადარიგონი:* ჯეკმანი, ბაკლი, მ. ოდრისკოლი, ესთერბი, სტრინგერი, პ. უოლესი, ფიცჯერალდი

1ლ: კერნეი; 1გ: ოჰარა; 1ს: ოჰარა

### უელსი 29:12 საფრანგეთი

**უელსი:** ბერნი, მ. ჯონსი, შანკლინი, ჰენსონი, შ. უილიამსი; ჰუკი, ფილიპსი; რ. ჯონსი (კაპ), მ. უილიამსი, ტომასი, ვუ ჯონსი, გოუგი, ა. ჯონსი, ბენეტი, ჯენკინსი

*სათადარიგონი:* რისი, დ. ჯონსი, ევანსი, დელივი, პილი, სტ. ჯონსი, პარკერი

2ლ: ს. უილიამსი, მ. უილიამსი; 1გ: რ ჯონსი; 5ს: ჰუკი (3), ს. ჯონსი (2)

**საფრანგეთი:** ფლოჩი, კლერკი, ჟოზიონი, ტრაი, მალზუ; სკრელა, ელისალდე; ონარი, ოდრაოგო, დუზატუა, ტაიონი, ნალე (კაპ), მასი, შარუევსკი, ბარცელა

*სათადარიგონი:* სერვა, პუ, მილა, ვერმიულენი, იაშვილი, ტინ-დიუ, ემონსი

4ს: ელისალდე

**ექვსი ერის** პირველობას ღირსეული გამარჯვებული ჰყავს. უელსის ნაკრებმა 70 000 გადარეული გულშემატკივრის წინაშე კიდევ ერთი ლამაზი გამარჯვება მოიპოვა. არადა, მსოფლიოს თასზე კოშმარული გამოსვლის შემდეგ ვერავინ იფიქრებდა, თუ „დარაკონები" ევროპის უპირველეს ტურნირზე იმარჯვებდნენ. უორენ გატლანდის ხელში უელსმა საკუთარ თამაშს მიაგნო. დაცვა ამ შეხვედრაში შეუვალი გახლდათ — უელსელებმა ფრანგები საკუთარ ლელოს ახლოსაც არ გააკარეს...

ყველაფერი კი ჯეიმს ჰუკის მე-7 წუთზე გატანილი საჯარიმოთი დაიწყო და საერთოდაც, პირველ ნახევარში გუნდები საჯარიმო დარტყმების ხარჯზე გავიდნენ ფონს. იგივე ჰუკმა მე-18 და 21-ე წუთებზე წესების დარღვევები ქულებად აქცია. ფრანგებმა ორი საჯარიმოთი უპასუხეს.

მეორე ტაიმში „მამლებმა" კიდევ ერთი საჯარიმო მოინაგრეს. 47-ე წუთზე ელისალდემ ანგარიში გაათანაბრა...

იმ დღეს ათასობით უელსელი ფანი სხვადასხვა სახალხო თავშეყრის ადგილებზე დანაწილდა. მთელი ქვეყანა ერთ დიდ ლუდხანად იქცა და საგმირო სიმღერებს დასძახოდა. უელსის პრინცმა „დრაკონებს" გამამხნევებელი წერილიც მისწერა, იმედი მაქვს, თქვენი შეურყეველი რწმენა და რკინისებური დისციპლინა საფრანგეთთან მატჩში თავს საუკეთესო ფორმით იჩენს და უკან დასახევ გზას არ დაგიტოვებთო.

არადა, საფრანგეთმა უძლიერესი შემადგენლობა გამოიყვანა და 20 ქულით გამარჯვებას იმედოვნებდა...

მე-60 წუთზე შეინ უილიამსმა ბურთი ფეხით შეაცურა და თავადაც გაედევნა. რამდენიმე „მამალი" კი ეცადა მისთვის გზის მოჭრას და ბურთის მოხელთებას, მაგრამ ამაოდ. ბრიტანელთა 11-მა ნომერმა ყველას დაასწრო და ოვალი ლელოში დაამიწა.

თვალსასეირო გამოდგა მარტინ უილიამსის ლელოც: ამ რკინასავით მორკინალმა ერთი ამოსუნთქვით გაჭრა ფრანგთა დაცვის ხაზი და ლელო ისე გაიტანა. ორივე გარდასახვისას ივარგა შეცვლაზე შესულმა სტივენ ჯონსმა. მანვე მატჩის დასრულებამდე 15-წუთიან მონაკვეთში ორი საჯარიმოც გაიტანა. „მამლებმაც" დაარტყეს საჯარიმო — სამოცდამეათე წუთზე დიმიტრი იაშვილმა იხეირა.

ახალზელანდიელ უორენ გატლანდს ახლა უკვე სასწაულმოქმედს უწოდებენ. „მან შეძლო და წყალი ღვინოდ აქცია" — ამბობდა ერთ-ერთი გახარებული გულშემატკივარი.

ექვს ერზე ეს უელსელთა მეათე ჩემპიონობა გახლავთ.

ინგლისელებმა კი დამაჯერებლად მოუგეს ირლანდიელებს. ჯონი უილკინსონის შემცვლელმა ახალგაზრდა დენი სიპრიანიმ მატჩის წინ გაცემული ავანსები სრულად გაამართლა.

სავარაუდოდ, წერტილი დაესვა ედი ოსალივანის 8-წლიან კარიერას „სამყურათა" თავკაცის პოსტზე. მის ოპონენტ ბრაიან ეშტონს კი ამ თამაშის გამო ისე აღარ მოხვდება კრიტიკოსებისგან.

შეხვედრა თანაბარი ბრძოლით დაიწყო. თავიდან ირლანდიას არა უშავდა, მაგრამ შემდეგ მაინც გატყდნენ მოწინააღმდეგის ფიზიკური უპირატესობის წინაშე. რობ კერნეიმ მე-3 წუთზე ლელო აწნია მასპინძლებს, გარდასახვა კი რონან ოჰარამ გამოიყენა. ორიოდე წუთში ოჰარამ საჯარიმოც გაიტანა და ანგარიში 0:10 გახადა. ეს იყო და ეს, სამყურებმა 80 წუთის განმავლობაში მეტი ვეღარაფერი შეძლეს.

სტუმართა რბევას კი სათავე საჯარიმოთი სიპრიანიმ დაუდო. მე-19 წუთზე პოლ სეკიმ ლელო გაიტანა. სიპრიანიმ გარდასახვაც გამოიყენა და ანგარიშიც გათანაბრდა. ინგლისელთა ოცი წლის გამთამაშებელმა მოვალეობას თავი მშვენივრად გაართვა.

როგორც რაგბიში ჩახედულებს მოეხსენებათ, „ვარდებს" ბოლო ხანებში უჭირდათ ბურთის კონტროლი. ირლანდიასთან მატჩში კი სიპრიანიმ ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა. მისი ჭკვიანური პასებით არაერთი სახიფათო შეტევა დაიწყო.

მას შემდეგ, რაც ინგლისელმა მე-20 წუთზე ანგარიში გაათანაბრეს, ირლანდიელთა საქმე უკან წავიდა. ისინი საკუთარ ლელოს მისადგომებს მიეჯაჭვნენ და მატჩის დასრულებამდე კიდევ ორი ლელო, ორი გარდასახვა და ორიც საჯარიმო გაუშვეს.

კარი გაიჯახუნა იტალიის ნაკრებმა. „სკუადრა აძურამ" სქოთები დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა. მატჩში გადამწყვეტი იყო 79-ე წუთზე ანდრეა მარკატოს გატანილი არეკნი. მან გამარჯვების დარტყმა 20:20-ზე შეასრულა.

**ზურაბ მიგრიაული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უელსი | 5 | 5 | 0 | 0 | +82 | 10 |
| ინგლისი | 5 | 3 | 0 | 2 | +25 | 6 |
| საფრანგეთი | 5 | 3 | 0 | 2 | +10 | 6 |
| ირლანდია | 5 | 2 | 0 | 3 | -6 | 4 |
| შოტლანდია | 5 | 1 | 0 | 4 | -54 | 2 |
| იტალია | 5 | 1 | 0 | 4 | -57 | 2 |


უელსი შამპანური დიდი სლემით დალია

---

**ერთა თასი 2007-2008**


კლოდ სორელი

# რუმინეთიც დაიტორა

## დათვები ქართველ ლელოებს ელიან

### რუსეთი 12:8 რუმინეთი

**ერთა** თასის მორიგ მატჩში რუსეთის ნაკრებმა კრასნოდარში რუმინეთის ეროვნული გუნდი წააქცია. „დათვებმა" ოთხი საჯარიმოს წყალობით შეძლეს გათამაშებაში მეშვიდე გამარჯვების მოპოვება. არადა, რუმინელებს რომ მოეგოთ, საქართველოს ნაკრები პრაქტიკულად ინაღდებდა ერთა თასს.

მთლიანობაში შეხვედრა არცთუ სანახაობრივი გამოდგა. მატჩში პირველი ქულები მე-12 წუთზე სტუმრებმა მოინაგრეს. საჯარიმო ვლაიკუმ გაიტანა. პირველი ნახევრის წამატებულ დროში რუსებმა ანგარიში გაათანაბრეს: კუშნარიოვის საჯარიმო ზუსტი გახლდათ.

მეორე ტაიმის დასაწყისში „დათვების" აქტიურობას კუშნარიოვის საჯარიმო მოჰყვა. მასპინძლები 6:3 დაწინაურდნენ. საპასუხოდ რუმინელებმა შეხვედრის ერთადერთი ლელო გაიტანეს, რომელიც პეტრეს ანგარიშზეა. გარდასახვაზე ვერ ივარგა ვლაიკუმ და „მუხის ფოთლები" მხოლოდ ორი ქულით დაწინაურდნენ.

ამის შემდეგ კლოდ სორელის დამოძღვრილებმა კიდევ ორი საჯარიმოს გატანა და მცირე უპირატესობის შენარჩუნება შეძლეს, რომელიც გამარჯვებისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ფრანგმა მწვრთნელმა ჩვენს მეზობლებს აშკარად ასწავლა პრაგმატული რაგბობა და, შეიძლება ითქვას, კერკეტ კაკლად აქცია.

29 მარტს ქართველი „ლელოები" ჩეხებს სტუმრობენ. გამარჯვების შემთხვევაში ჩვენები პირველ ადგილს დაიკავებენ, რომელიც რუსებმა მეტი თამაშის ჩატარების გამოისობით წაგვართვეს. ყველაფერი კი 12 აპრილს გადაწყდება კრასნოიარსკში. იქ ჩვენები „დათვებს" საჩემპიონოდ შეერკინებიან.

**ზურაბ მიგრიაული**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 8 | 7 | 0 | 1 | +125 | 14 |
| საქართველო | 7 | 6 | 0 | 1 | +151 | 12 |
| რუმინეთი | 9 | 5 | 0 | 4 | +64 | 10 |
| პორტუგალია | 9 | 3 | 0 | 6 | -8 | 6 |
| ესპანეთი | 8 | 3 | 0 | 5 | -9 | 6 |
| ჩეხეთი | 7 | 0 | 0 | 7 | -513 | 0 |

# ამერიკული დუბლი

**ამერიკელი** მოთხილამურეების სრული ტრიუმფით დასრულდა მთის მოთხილამურეთა მსოფლიოს თასის რიგით 42-ე გათამაშება. ლინდსი ვონ-კილდოუმ, ბოდე მილერმა და ტედ ლიჯეტიმ, ჯამში ორი დიდი და სამი მცირე ბროლის გლობუსი მოიპოვეს. მთავარი გმირები, რაღა თქმა უნდა, ვონ-კილდოუ და მილერი არიან, რომლებმაც წყვილად იმარჯვეს გენერალურ კლასიფიკაციაში.

ასეთი რამ, ანუ ერთ სეზონში მსოფლიოს თასი ქალებშიც და კაცებშიც ამერიკელებს რომ მოეგოთ, აქამდე ერთადერთხელ მოხდარა — ზუსტად მეოთხედი საუკუნის წინ, 1983 წელს, ამერიკული დუბლი ტამარა მაკინმა და ფილ მარემ შეასრულეს.

ის, რომ მილერი პირველობას არავის დაუთმობდა და სამი წლის წინანდელ შედეგს გაიმეორებდა, იტალიურ ბორმიოში გამართული ფინალური შეჯიბრების დაწყებამდე, ფაქტობრივად, ნათელი იყო, რადგანაც უახლოესი კონკურენტები, შვეიცარიელი დიდიე კუშე და ავსტრიელი ბენჯამინ რაიხი ამერიკელს გვარიანად ჩამორჩებოდნენ. აი, ლინდსის კი გერმანელი მარია რიოში და შარშანდელი გამარჯვებული, ავსტრიელი ნიკოლ ჰოსპი კუდში ედგნენ, მაგრამ ამათ ბორმიოში ვერ ივარგეს და ამერიკელმაც გვარიანი უპირატესობით მოიპოვა გამარჯვებულის წოდება.

ფინალური ეტაპი შეკვეცილი გამოვიდა — წვიმიანი ამინდის გამო სწრაფდაშვების ტრასა გაფუჭდა და შეჯიბრი ვერ ჩატარდა. შედეგად, ამ დისციპლინაში გამარჯვებულის სარგო მცირე ბროლის გლობუსები მათ ერგოთ, ვინც მანამდეც პირველ ადგილებზე იყვნენ. ისე, ამინდს რომ არ აერია, მილერს იქნებ ერთი გლობუსით მეტი ჰქონოდა — სწრაფდაშვების ჩათვლაში ის ოდენ ხუთი ქულით ჩამორჩებოდა კუშეს და პირველობის კარგი შანსიც ჰქონდა.

დიდთან ერთად ერთი მცირე გლობუსი, კერძოდ კომბინაციაში, ბოდეს ადრევე ჰქონდა დაბევებული და მეორე ამერიკელმა ტედ ლიჯეტიმ კი პატარა გლობუსი სწორედ ბორმიოში დაითრია, როდესაც გიგანტურ სლალომში იპირველა და საბოლოო ჩათვლაში რაიხს გადაასწრო.

კაცებში კიდევ ორი მცირე გლობუსი ავსტრიელ ჰანეს რაიხელტს (სუპერგიგანტში) და იტალიელ მანფრედ მიოლგს (სლალომში) დარჩათ. ლიჯეტის არ იყოს, ორივემ ბორმიოში წარმატებული გამოსვლით მიაღწია პირველობას. რაიხელტმა, სულაც ერთი ქულით აჯობა კუშეს, მიოლგმაც ბოლოსკენდა შეძლო ფრანგი ჟან-ბატისტ გრანჟეს გადასწრება და მცირე გლობუსი ლეგენდარული თანამემამულის, ალბერტო ტომბას ხელიდან მიიღო.

ქალებში ვონი-კილდოუმ გენერალურ კლასიფიკაციასთან ერთად სწრაფდაშვებაშიც იპირველა, ხოლო კომბინაციაში მეორე ადგილი დაიკავა რიოშის შემდეგ. ამ უკანასკნელმა კომბინაციის გარდა სუპერგიგანტის ჩათვლაც მოიგო. გიგანტურ სლალომში იტალიელი დენიზ კარბონი იყო საუკეთესო, ხოლო სლალომის გამარჯვებულის სარგო მცირე ბროლის გლობუსი, ისევე როგორც შარშან, ავსტრიელმა მარლიზ შილდმა დაისაკუთრა.



ლინდსი ვონ-კილდოუ



ბოდე მილერი

## მსოფლიოს თასის ფინალური ეტაპი. ბორმიო. იტალია 10-16 მარტი

### ქალები

#### სუპერგიგანტი

| | |
|---|---|
| 1. ფაბიენ სუტერი (შვეიცარია) | 1 წთ 19,48 წმ |
| 2. ლინდსი ვონ-კილდოუ (აშშ) | 1.19,74 |
| 3. ალექსანდრა მაისნიტცერი (ავსტრია) | 1.19,85 |
| 4. ნადია შტიგერი (შვეიცარია) | 1.20,15 |
| 5. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1.20,23 |

#### სუპერგიგანტის საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მარია რიოში (გერმანია) | 374 ქულა |
| 2. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 326 |
| 3. ფაბიენ სუტერი (შვეიცარია) | 305 |
| 4. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 283 |
| 5. ემილი ბრაიდონი (კანადა) | 270 |

#### გიგანტური სლალომი

| | |
|---|---|
| 1. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 2 წთ 24,96 წმ (1.15,80+1.09,16) |
| 2. მანუელა მიოლგი (იტალია) | 2.25,03 (1.16,16+1.08,87) |
| 3. კატრინ ცეტელი (ავსტრია) | 2.25,26 (1.09,00+2.25,26) |
| 4. ინგრიდ ჟაკემი (საფრანგეთი) | 2.25,28 (1.16,31+1.08,97) |
| 5. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 2.25,35(1.15,94+1.09,41) |

#### გიგანტური სლალომის საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. დენიზ კარბონი (იტალია) | 592 ქულა |
| 2. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 479 |
| 3. მანუელა მიოლგი (იტალია) | 359 |
| 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 297 |
| 5. ჟულია მანკუზო (აშშ) | 253 |

#### სლალომი

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1 წთ 52,78 წმ (52,09+1.00,69) |
| 2. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 1.52,85 (52,74+1.00,11) |
| 3. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) | 1.53,02 (52,14+1.00,88) |
| 4. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1.53,08 (52,33+1.00,75) |
| 5. კიარა კოსტაცა (იტალია) | 1.53,12 (53,17+59,15) |

#### სლალომის საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 640 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 515 |
| 3. ვერონიკა ზუზულოვა (სლოვაკეთი) | 501 |
| 4. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 484 |
| 5. სარკა ზაჰრობსკა (ჩეხეთი) | 392 |

#### სწრაფდაშვების საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ლინდსი ვონ-კილდოუ (აშშ) | 755 ქულა |
| 2. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 448 |
| 3. ბრიტ ჯანიკი (კანადა) | 390 |
| 4. ანა პერსონი (შვედეთი) | 331 |
| 5. კელი ვანდერბეკი (კანადა) | 327 |

#### კომბინაციის საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მარია რიოში (გერმანია) | 260 |
| 2. ლინდსი ვონ-კილდოუ (აშშ) | 200 |
| 3. ანა პერსონი (შვედეთი) | 160 |
| 4. სანდრინ აუბერი (საფრანგეთი) | 110 |
| 5. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 106 |

#### საბოლოო მდგომარეობა

| | |
|---|---|
| 1. ლინდსი ვონ-კილდოუ (აშშ) | 1403 ქულა |
| 2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 1183 |
| 3. მარია რიოში (გერმანია) | 1146 |
| 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 1137 |
| 5. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 1120 |
| 6. ანა პერსონი (შვედეთი) | 973 |
| 7. ჟულია მანკუზო (აშშ) | 938 |
| 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) | 781 |
| 9. რენატე გიოტჩლი (ავსტრია) | 731 |
| 10. დენიზ კარბონი (იტალია) | 651 |

### კაცები

#### სუპერგიგანტი

| | |
|---|---|
| 1. ჰანეს რაიხელტი (ავსტრია) | 1 წთ 45,00 წმ |
| 2. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 1.45,01 |
| 3. ალეს გორცა (სლოვენია) | 1.45,34 |
| 4. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1.45,38 |
| 5. ფრანსუა ბურკე (კანადა) | 1.45,51 |

#### სუპერგიგანტის საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ჰანეს რაიხელტი (ავსტრია) | 341 ქულა |
| 2. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 340 |
| 3. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 286 |
| 4. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 262 |
| 5. კრისტოფ გრუბერი (ავსტრია) | 251 |

#### გიგანტური სლალომი

| | |
|---|---|
| 1. ტედ ლიჯეტი (აშშ) | 2 წთ 18,04 წმ (1.08,63+1.09,41) |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 2.18,35 (1.08,34+1.10,01) |
| 3. სიპრინ რიშარი (საფრანგეთი) | 2.18,72 (1.08,79+1.09,93) |
| 4. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 2.18,78 (1.08,45+1.10,33) |
| 5. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 2.18,92 (1.08,74+1.10,18) |

#### გიგანტური სლალომის საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ტედ ლიჯეტი (აშშ) | 485 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 438 |
| 3. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 376 |
| 4. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 293 |
| 5. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 284 |

#### სლალომი

| | |
|---|---|
| 1. რაინფრედ ჰერბსტი (ავსტრია) | 1 წთ 51,31 წმ (53,89+57,42) |
| 2. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 1.51,63 (54,43+57,20) |
| 3. მარკელ ჰირშნერი (ავსტრია) | 1.51,65 (54,03+57,62) |
| 4. მიტია დრაგსიჩი (სლოვენია) | 1.51,77 (54,56+57,21) |
| 5. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1.51,81 (54,50+57,31) |

#### სლალომის საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 531 ქულა |
| 2. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 512 |
| 3. რაინფრედ ჰერბსტი (ავსტრია) | 450 |
| 4. მარიო მატი (ავსტრია) | 427 |
| 5. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 425 |

#### სწრაფდაშვების საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. დიდე კუშე (შვეიცარია) | 584 ქულა |
| 2. ბოდე მილერი (აშშ) | 579 |
| 3. მიხაელ ვალხოფერი (ავსტრია) | 407 |
| 4. მარკო სალივანი (აშშ) | 278 |
| 5. ვერნერ ჰილი (იტალია) | 273 |

#### კომბინაციის საბოლოო ჩათვლა

| | |
|---|---|
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 410 ქულა |
| 2. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 256 |
| 3. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 245 |
| 4. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 220 |
| 5. რაინერ შონფელდერი (ავსტრია) | 206 |

#### საბოლოო მდგომარეობა

| | |
|---|---|
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 1409 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 1298 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 1263 |
| 4. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 924 |
| 5. ტედ ლიჯეტი (აშშ) | 898 |
| 6. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 829 |
| 7. დანიელ ალბრეხტი (შვეიცარია) | 795 |
| 8. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 793 |
| 9. დიდიე დეფაგო (შვეიცარია) | 645 |
| 10. ჰანეს რაიხელტი (ავსტრია) | 554 |

## მსოფლიოს თასის ყველა მფლობელი

| | | | |
|---|---|---|---|
| 1967 | ნენსი გრინი (კანადა) | 1988 | მიქაელა ფიგინი (შვეიცარია) |
| 1968 | ნენსი გრინი (კანადა) | 1989 | ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) |
| 1969 | გერტრუდ გაბლი (ავსტრია) | 1990 | პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) |
| 1970 | მარია ჟაკე (საფრანგეთი) | 1991 | პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) |
| 1971 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) | 1992 | პეტრა კრონბერგერი (ავსტრია) |
| 1972 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) | 1993 | ანიტა ვახტერი (ავსტრია) |
| 1973 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) | 1994 | ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) |
| 1974 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) | 1995 | ფრენი შნაიდერი (შვეიცარია) |
| 1975 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) | 1996 | კატია ზაიცინგერი (გერმანია) |
| 1976 | როზი მიტერმაიერი (გერმანია, გფრ) | 1997 | პერნილა ვიბერგი (შვედეთი) |
| 1977 | ლიზ-მარი მორერო (შვეიცარია) | 1998 | კატია ზაიცინგერი (გერმანია) |
| 1978 | ჰანი ვენცელი (ლიხტენშტაინი) | 1999 | ალექსანდრა მაისნიტცერი (ავსტრია) |
| 1979 | ანემარი მოზერ-პრიოლი (ავსტრია) | 2000 | რენატე გიოტჩლი (ავსტრია) |
| 1980 | ჰანი ვენცელი (ლიხტენშტაინი) | 2001 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) |
| 1981 | მარი-ტერეზ ნადიგი (შვეიცარია) | 2002 | მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია) |
| 1982 | ერიკა ჰესი (შვეიცარია) | 2003 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) |
| 1983 | ტამარა მაკინი (აშშ) | 2004 | ანია პერსონი (შვედეთი) |
| 1984 | ერიკა ჰესი (შვეიცარია) | 2005 | ანია პერსონი (შვედეთი) |
| 1985 | მიქაელა ფიგინი (შვეიცარია) | 2006 | იანიცა კოსტელიჩი (ხორვატია) |
| 1986 | მარია ვალიზერი (შვეიცარია) | 2007 | ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) |
| 1987 | მარია ვალიზერი (შვეიცარია) | 2008 | ლინდსი ვონ-კილდო (აშშ) |

| | | | |
|---|---|---|---|
| 1967 | ჟან-კლოდ კილი (საფრანგეთი) | 1988 | პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) |
| 1968 | ჟან-კლოდ კილი (საფრანგეთი) | 1989 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) |
| 1969 | კარლ შრანცი (ავსტრია) | 1990 | პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) |
| 1970 | კარლ შრანცი (ავსტრია) | 1991 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) |
| 1971 | გუსტავო ტონი (იტალია) | 1992 | პაულ აკოლა (შვეიცარია) |
| 1972 | გუსტავო ტონი (იტალია) | 1993 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) |
| 1973 | გუსტავო ტონი (იტალია) | 1994 | ჩეტილ ანდრე ოამოდტი (ნორვეგია) |
| 1974 | პიერო გროსი (იტალია) | 1995 | ალბერტო ტომბა (იტალია) |
| 1975 | გუსტავო ტონი (იტალია) | 1996 | ლასე კიუსი (ნორვეგია) |
| 1976 | ინგემარ სტენმარკი (შვედეთი) | 1997 | ლუკ ალფანი (საფრანგეთი) |
| 1977 | ინგემარ სტენმარკი (შვედეთი) | 1998 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) |
| 1978 | ინგემარ სტენმარკი (შვედეთი) | 1999 | ლასე კიუსი (ნორვეგია) |
| 1979 | პეტერ ლუშერი (შვეიცარია) | 2000 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) |
| 1980 | ანდრეას ვენცელი (ლიხტენშტაინი) | 2001 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) |
| 1981 | ფილ მარე (აშშ) | 2002 | შტეფან ებერხარტერი (ავსტრია) |
| 1982 | ფილ მარე (აშშ) | 2003 | შტეფან ებერხარტერი (ავსტრია) |
| 1983 | ფილ მარე (აშშ) | 2004 | ჰერმან მაიერი (ავსტრია) |
| 1984 | პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) | 2005 | ბოდე მილერი (აშშ) |
| 1985 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) | 2006 | ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) |
| 1986 | მარკ ჟირარდელი (ლუქსემბურგი) | 2007 | აქსელ ლუნდ სვინდალი (ნორვეგია) |
| 1987 | პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) | 2008 | ბოდე მილერი (აშშ) |

ფორმულა 1. 59-ე მსოფლიოს ჩემპიონატი. პირველი ეტაპი

# ეს უკვე ძველი ტონია, თავში ლუის ჰემილტონია

**ლუის ჰემილტონის** ტრიუმფი, „უილიამსები“ პოდიუმზე და ქულათა ზონაში, „ფერარის“ კრახი, ბევრი გასწრება და უფრო მეტი ავარია — ასე შეიძლება მოკლედ ითქვას 59-ე საპირველფორმულო სეზონის პირველი, ავსტრალიური „დიდი პრიზის“ შესახებ, რომელიც გუშინ დილით მელბურნის „ალბერტ პარკის“ ავტოდრომზე გაიმართა.

მოულოდნელობები ჯერ კიდევ კვალიფიკაციისას დაიწყო, როდესაც საყოველთაო შეფასებით, სეზონის უმთავრესმა ფავორიტმა, მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა კიმი რაიკონენმა ოდენ მე-16 ადგილი დაიკავა „ფერარის“ საწვავის სისტემაში არსებული პრობლემების გამო.

კვალიფიკაცია, კარიერაში უკვე მეშვიდედ, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა ლუის ჰემილტონმა მოიგო, თუმცა ინგლისელს გაუმართლა, რადგანაც რობერტ კუბიცას შეცდომა რომ არ დაეშვა, პოლონელის „BMW-ზაუბერი“ ჰემის „მაკლარენზე“ წინ იქნებოდა. კუბიცამ მეორე შედეგი აჩვენა, მესამე მეორე მაკლარენელი ჰეიკი კოვალაინენი იყო და მხოლოდ მეოთხე დრო ჰქონდა ფერარელ ფელიპე მასას.

მესამე სასტარტო რიგში კუბიცას გერმანელი თანაგუნდელი ნიკ ჰაიდფელდი და „ტოიოტას“ იტალიელი იარნო ტრულლი განლაგდნენ, ამათ უკან კი პირველ ათეულში ნიკო როსბერგი („უილიამსი“), დევიდ კულტჰარდი („რედ ბული“), ტიმო გლოკი („ტოიოტა“) და სებასტიენ ფეტელი („ტორო როსო“) იყვნენ, ოღონდაც შემდეგ გლოკი დააჯარიმეს, ათი ადგილით უკან დაწიეს და სტარტზე მეათე რუბენს ბარიკელო დადგა თავისი „ჰონდათი“.

დაიწყო თუ არა რბოლა, მასა პირველივე მოსახვევში გადავიდა ტრასიდან და ეგრევე ბოქსებში შესასვლელი გახდა. რაიკონენმა უმალ მოიგო რამდენიმე პოზიცია და მეცხრე ადგილზე აინაცვლა, ხოლო მის უკან გვარიანი ზედახორა გაიმართა და რბოლას პირველივე წრეზე ხუთი მანქანა გამოაკლდა.

ხუთს ვინ ჩივის, მთელი რბოლა ავარიებისა და უსაფრთხოების მანქანის თანხლებით წარიმართა და ისე მოხდა, რომ ფინიშს მხოლოდ შვიდმა პილოტმა უწია.

გავარდნილთა შორის ორივე „ფერარი“ იყო. მასას, ფაქტობრივად, არც ჰქონია შანსი, ხოლო რაიკონენი რალაც მომენტში მესამე ადგილზეც კი ალზევდა და პეისკარის მორიგი გამოჩენის წყალობით, კოვალაინენის კუდზე დამჯდარმა, თანამემამულეს გასწრება მოუნდომა. თითქოს გაასწრო კიდეც, მაგრამ მანქანა ველარ დაიმორჩილა, ტრასიდან გადავიდა, დამცავ ბარიერზე შესკდომას ძლივს გადაურჩა და, მართალია, ტრასას დაუბრუნდა, ისიც, უკვე უშანსოდ იყო და მალე ძრავის პრობლემების გამო რბოლა შეწყვიტა.

რაიკონენი რომ გავარდა, რვა მანქანაღა იყო დარჩენილი და ისე მოხდა, რომ საბოლოო ჯამში, ფინელმა მაინც მიიღო ერთი ჩასათვლელი ქულა, რადგანაც მეექვსე ადგილზე გასულ ბარიკელოს დისკვალიფიკაცია მისცეს, აქაოდა, პიტლაინიდან წითელ შუქზე გამოხვედიო.

ერთადერთი, ვისაც მთელი რბოლის მანძილზე არანაირი პრობლემა არ შექმნია, ჰემილტონი იყო. ინგლისელმა კომფორტულად მოიპოვა კარიერაში მეხუთე გამარჯვება, რომელიც „მაკლარენისთვის“ 157-ე იყო და ეგ კი არა, „მაკებს“, სულაც დუბლი უნდა გაეკეთებინათ, რომ არა უსაფრთხოების მანქანის მორიგი გამოჩენა — კოვალაინენი მეორეზე იყო და ბოქსში გეგმური შესვლისთვის ემზადებოდა, როდესაც მორიგი ავარიის შემდეგ, ტრასაზე პეისკარი გამოჩნდა, ფინელის უპირატესობა, პიტ-სტოპებზე ნამყოფ მეტოქეებთან მომენტალურად გაქრა და მერე, როდესაც თავად ჰეიკიმაც მიაკითხა ბოქსს, დაბრუნებული, უკვე მეექვსე იყო.

შედეგად, მეორე ადგილი ჰაიდფელდს ერგო, ხოლო მესამეზე როსბერგი გავიდა, ვინც მთელი რბოლა უშეცდომოდ ჩაატარა და კარიერაში პირველად შედგა პოდიუმზე.

როსბერგს მხარი კაზუკი ნაკაჯიმამაც აუბა, საბოლოო ჯამში, მეექვსე ადგილი დაიკავა და შედეგად, პირველი რბოლის შემდეგ, „უილიამსი“ 9 ქულით მეორე ადგილზეა გუნდურ ჩათვლაში.

წესით, მეოთხე უნდა ყოფილიყო ამერიკული ჩემპ-კარის სერიის ოთხგზის ჩემპიონი სებასტიენ ბურდე, ვინც პირველ საპირველფორმულო რბოლას ატარებდა, მაგრამ ფინიშამდე სამი წრით ადრე მისი „ტორო როსოს“ „ფერარის“ ძრავამ ბოლი გაუშვა, თუმც ფრანგმა თავის სადებიუტო რბოლაში მეშვიდე ადგილი და ორი ქულა მაინც ირგუნა.

მეოთხე ადგილი ფერნანდო ალონსოს ერგო. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ავსტრალიაში ჩასვლისთანავე თქვა, ამ წუთისთვის „რენო“ მეორე ეშელონშია, ჩვენზე სწრაფები სხვები არიან, მაგრამ თუ შანსი მომეცა, აუცილებლად გამოვიყენებო და გამოიყენა კიდეც — მთელი რბოლა უშეცდომოდ ჩაატარა, ბოლოსკენ კოვალაინენს ლამაზადაც გაასწრო და მანქანიდან მაქსიმუმი გამოწურა.

აი, ასეთი, ცოტა არ იყოს, უცნაური გამოდგა წლევანდელი ჩემპიონატის პირველი „დიდი პრიზი“, რომელმაც დაგვანახა, რომ ერთი შეხედვით უძლეველ „ფერარისაც“ შეიძლება ჰქონდეს პრობლემები და თანაც, კაცმა რომ სიმართლე თქვას, „სკუდერიამ“ ვერც სისწრაფით აჯობა „მაკლარენს“.

ამ ორი გუნდის სახლოვეს „BMW-ზაუბერია“ და იქვეა „უილიამსიც“ „რენო“ კი, ალბათ, მოუმატებს.

**ბაჩა ლომაძე**



ლუის ჰემილტონს პოდიუმზე გვერდი ნიკ ჰაიდფელდმა (მარცხნივ) და ნიკო როსბერგმა დაუმშვენეს






**რბოლის შედეგები**

**ავსტრალიის დიდი პრიზი**
**16 მარტი. მელბურნი**
დისტანცია 58 წრე — 307,574 კმ

| | | |
|---|---|---|
| 1(1) | *ლუის ჰემილტონი* (ბრიტანეთი, „მაკლარენ-მერსედესი“) | 1 სთ 34 წთ 50,616 წმ (საშ. სიჩქარე 194,577 კმ/სთ) |
| 2(5) | *ნიკ ჰაიდფელდი* (გერმანია, „BMW-ზაუბერი“) | +5,4 წმ |
| 3(7) | *ნიკო როსბერგი* (გერმანია, „უილიამს-ტოიოტა“) | +8,1 |
| 4(12) | *ფერნანდო ალონსო* (ესპანეთი, „რენო“) | +17,1 |
| 5(3) | *ჰეიკი კოვალაინენი* (ფინეთი, „მაკლარენ-მერსედესი“) | +18,0 |
| 6(14) | *კაზუკი ნაკაჯიმა* (იაპონია, „უილიამს-ტოიოტა“) | +1 წრე |
| | რბოლას გამოეთიშნენ | |
| 7(18) | *სებასტიენ ბურდე* (საფრანგეთი, „ტორო როსო-ფერარი“) | გაიარა 55 წრე |
| 8(16) | *კიმი რაიკონენი* (ფინეთი, „ფერარი“) | 53 |
| 9(2) | *რობერტ კუბიცა* (პოლონეთი, „BMW-ზაუბერი“) | 47 |
| 10(9) | *ტიმო გლოკი* (გერმანია, „ტოიოტა“) | 43 |
| 11(20) | *ტაკუმა სატო* (იაპონია, „სუპერ აგური-ჰონდა“) | 32 |
| 12(21) | *ნელსონ პიკე* (ბრაზილია, „რენო“) | 30 |
| 13(4) | *ფელიპე მასა* (ბრაზილია, „ფერარი“) | 29 |
| 14(8) | *დევიდ კულტჰარდი* (ბრიტანეთი, „რედ ბული-რენო“) | 25 |
| 15(6) | *იარნო ტრულლი* (იტალია, „ტოიოტა“) | 19 |
| 16(19) | *ადრიან სუტილი* (გერმანია, „ფორს ინდია-ფერარი“) | 8 |
| 17(15) | *მარკ ვებერი* (ავსტრალია, „რედ ბული-რენო“) | 0 |
| 18(13) | *ჯენსონ ბატონი* (ბრიტანეთი, „ჰონდა“) | 0 |
| 19(22) | *ენტონი დევიდსონი* (ბრიტანეთი, „სუპერ აგური-ჰონდა“) | 0 |
| 20(10) | *სებასტიან ფეტელი* (გერმანია, „ტორო როსო-ფერარი“) | 0 |
| 21(17) | *ჯანკარლო ფიზიკელა* (იტალია, „ფორს ინდია-ფერარი“) | 0 |

*ფრჩხილებში — საკვალიფიკაციო ადგილი*

| | | |
|---|---|---|
| | დისკვალიფიკაცია | |
| 22(11) | *რუბენს ბარიკელო* (ბრაზილია, „ჰონდა“) | +52,4 წმ |

| | |
|---|---|
| პოული | |
| *ჰემილტონი* | 1 წთ 25,187 წმ (საშ. სიჩქარე 224,104 კმ/სთ) |
| საუკეთესო წრე | |
| *კოვალაინენი* | 1 წთ 27,418 წმ (საშ. სიჩქარე 218,385 კმ/სთ) |

# რეგულარული ჩემპიონატი

14 მარტი

**ვაშინგტონი 4:1 ატლანტა**

*1:1 2:0 1:0*

0:1 კოზლოვი (12), 1:1 ლეიჩი (15), 2:1 ლეიჩი (23), 3:1 კუკი (35), 4:1 ოვეჩკინი (42)

**კოლუმბუსი 3:6 ჩიკაგო**

0:3 2:1 1:2

0:1 ბარკერი (1), 0:2 კიტი (12), 0:3 ბოლანდი (14), 1:3 მოდინი (27), 2:3 ფრიჩი (27), 2:4 კეინი (32), 3:4 ნეში (48), 3:5 ბაიფულენი (51), 3:6 ლედი (57)

**ბუფალო 7:1 კაროლინა**

*4:0 2:0 1:1*

1:0 პაიე (5), 2:0 მეირი (6), 3:0 როი (11), 4:0 ჰოსტედი (14), 5:0 კალეტა (23), 6:0 როი (36), 6:1 უოკერი (52), 7:1 კოტალიკი (57)

**ფლორიდა 3:2 რეინჯერსი**

*1:1 1:1 1:0*

1:0 ოლეში (13), 1:1 ჯირარდი (16), 1:2 გომესი (21), 2:2 კოლიმორი (32), 3:2 იოკინენი (48)

**სან ხოსე 4:1 სენტ ლუისი**

*4:0 0:1 0:0*

1:0 მიხალეკი (2), 2:0 რენიკი (11), 3:0 კემპბელი (13), 4:0 მარლო (14), 4:1 ბეკსი (21)

15 მარტი

**დეტროიტი 1:3 ნეშვილი**

*1:1 0:1 0:1*

0:1 ჰემიუსი (11), 1:1 კრუნვალი (18), 1:2 პევერლი (27), 1:3 სმიტსონი (60)

**ბოსტონი 3:2 ფილადელფია**

*1:0 0:2 1:0 1:0 (ოვერტაიმში)*

1:0 კობასიუ (13), 1:1 რიჩარდსი (30), 1:2 ბრიარი (33), 2:2 ფერენსი (60), 3:2 უორდი (63)

**კოლორადო 2:4 ნიუ ჯერსი**

*0:1 1:1 1:2*

0:1 ზუბრუსი (15), 1:1 შჩასტნი (28), 1:2 პანდოლფო (30), 1:3 ლანგენბრუნერი (48), 1:4 მადენი (52), 2:4 ლაილსი (53)

**დალასი 3:4 ვანკუვერი**

*1:3 2:0 0:1*

0:1 პეტინჯერი (3), 0:2 კესლერი (10), 0:3 ნესლუნდი (12), 1:3 ლუნდკვისტი (20), 2:3 მოდანო (28), 3:3 რიჩარდსი (34), 3:4 მორისონი (44)

**მონრეალი 3:0 აილენდერსი**

*0:0 1:0 2:0*

1:0 ჰამრლიკი (28), 2:0 კოვალიოვი (46), 3:0 ლატანდრესი (58)

**ტორონტო 2:6 ბუფალო**

*1:3 0:0 1:3*

0:1 კოტალიკი (8), 1:1 უაიტი (14), 1:2 ხეხტი (14), 1:3 სტეფორდი (18), 2:3 ტლუსტი (48), 2:4 პომინვილი (52), 2:5 პაიე (55), 2:6 ტალინდერი (58)

**ტამპა 3:0 რეინჯერსი**

*0:0 1:0 2:0*

1:0 პიკარი (34), 2:0 სენ ლუი (47), 3:0 გულე (60)

**მინესოტა 2:0 ლოს ანჯელესი**

*0:0 1:0 1:0*

1:0 როლსტონი (35), 2:0 გაბორიკი (56)

**ანაჰაიმი 5:2 სენტ ლუისი**

*1:0 1:1 3:1*

1:0 შნაიდერი (20), 1:1 მაიერსი (22), 2:1 სელიანე (36), 2:2 ვოივიტკა (41), 3:2 რ. ნიდერმაიერი (45), 4:2 რ. ნიდერმაიერი (52), 5:2 გეცლაფი (59)

**ფინიქსი 2:5 ედმონტონი**

*0:1 1:2 1:2*

0:1 ჰემსკი (7), 1:1 დოანი (25), 1:2 პიტკანენი (28), 1:3 ბროძიაკი (36), 1:4 რიზონენი (49), 2:4 ჩერნკვისტი (59), 2:5 პიზანი (60)



# ნახევარფინალი განზე დარჩა

**ეგვიპტის** მთავარქალაქ ქაიროში გუშინ ITF-ის ეგიდით მიმდინარე ქალთა 10-ათასიანი შეჯიბრი დასრულდა.

„სარბიელის" წინა ნომერში ვწერდით, შესაძლოა, ეგვიპტურ თიხნარზე ქართული ნახევარფინალი შედგესო, მაგრამ ნახევარფინალში წყვილად გასვლას ვინ ჩივის, ორივე ჩვენებური მეოთხედფინალში დამარცხდა.

ტურნირზე მე-6 ნომრად განთესილ მანანა შაფაქიძეს 6:3 6:4 მოუგო მეორე ნომერმა, WTA-ს რეიტინგის 434-ე საფეხურზე მყოფმა რუმინელმა ალექსანდრა კადანტუმ, ხოლო ოქსანა კალაშნიკოვას, ვინც ქაიროში მე-8 ნომრად იყო განთესილი, დაძაბულ სამსეტიან თამაშში 4:6 6:3 7:5 სძლია კლასიფიკაციაში 616-ე ადგილზე მყოფმა ჩეხმა სიმონა დობრამ.



ოქსანა კალაშნიკოვა

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. პრემიერლიგა 17 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 1 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| | | გერმანია. II ბუნდესლიგა 17 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| | | შვეიცარია. ჩელენჯლიგა 17 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 97 | ბელინცონა-ვინტერთური | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| | | საფრანგეთი. II დივიზიონი 17 მარტი | | | | | | |
| 23:00 | 357 | გენიონი-ნანტი | 5.30 | 3.20 | 1.65 | 1.99 | 1.25 | 1.08 |
| | | პორტუგალია სუპერლიგა 17 მარტი | | | | | | |
| 23:45 | 98 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.50 | 3.60 | 6.40 | 1.05 | 1.21 | 2.30 |
| | | ჩეხეთი 17 მარტი | | | | | | |
| 20:15 | 99 | ბოლესლავი-სპარტა | 3.60 | 3.00 | 2.00 | 1.63 | 1.28 | 1.20 |
| | | დანია სუპერლიგა 17 მარტი | | | | | | |
| 22:00 | 100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 1.65 | 3.70 | 4.55 | 1.14 | 1.21 | 2.04 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10001 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2.55 | 2.00 | 3.55 | 1.12 | 1.48 | 1.27 |
| 10098 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.90 | 2.10 | 5.80 | 1.00 | 1.43 | 1.54 |
| 10100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 2.60 | 2.00 | 3.50 | 1.13 | 1.49 | 1.27 |
| 10357 | გენიონი-ნანტი | 5.00 | 2.10 | 2.00 | 1.47 | 1.42 | 1.02 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11001 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3.20 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11098 | სპორტინგი-ნასიონალი | 2.05 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.50 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11357 | გენიონი-ნანტი | 8.00 | 10.00 | 20.00 | 9.00 | 4.80 | 3.50 | 20.00 | 10.00 | 2.20 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12001 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 12098 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.50 | 2.10 |
| 12100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 2.00 | 1.60 |
| 12184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1.90 | 1.70 |
| 12357 | გენიონი-ნანტი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს. (ძირითადი დრო)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 13001 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1.70 | 1.90 |
| 13098 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.90 | 1.60 |
| 13100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 1.60 | 2.00 |
| 13184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1.60 | 2.00 |
| 13357 | გენიონი-ნანტი | 1.80 | 1.80 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14001 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1.75 | 2.10 |
| 14098 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.30 | 2.50 |
| 14100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 1.45 | 2.40 |
| 14184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1.80 | 2.00 |
| 14357 | გენიონი-ნანტი | 2.40 | 1.45 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15001 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15098 | სპორტინგი-ნასიონალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15357 | გენიონი-ნანტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16001 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1.52 | 2.20 |
| 16098 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.14 | 4.70 |
| 16100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 1.23 | 3.60 |
| 16184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1.55 | 2.20 |
| 16357 | გენიონი-ნანტი | 3.60 | 1.23 |

### გოლი:წყვილი-1ოუ კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17001 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 1.85 | 1.95 |
| 17098 | სპორტინგი-ნასიონალი | 1.85 | 1.95 |
| 17100 | მიდტიულანდი-ნორდსიელანდი | 1.85 | 1.95 |
| 17184 | ფრაიბურგი-კიოლნი | 1.85 | 1.95 |
| 17357 | გენიონი-ნანტი | 1.85 | 1.95 |

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

გიო ახვლედიანის

სვეტეული

# წინასწარი შეტყობინება

ჩემპიონთა ლიგის ამ ბოლო წილისყრამდე საათნახევრით ადრე, ინტერნეტში ვიღაცას გაუვრცელებია წყვილები და ოთხივე წყვილი წილისყრას დამთხვევია.

იმ გავრცელებულში ასე ყოფილა, უეფამ წინდაწინ იცის, ვის ვის შეახვედრებს და ყოველივე ჩაწერილიაო. რაზან დაემთხვა, ხომ საერთოდ.

უეფამ, ცხადია, ყოველივე უარყო, უბრალო დამთხვევააო.

ჩვენს საყოველთაო ჩაწყობაზე ლაპარაკის დროებაში, ეს კიდევ ერთი საბუთია იმათთვის, ვისაც ამ ჩაწყობებისა სჯერა. ვისაც არ სჯერა, იმათ არც ეს დაეჯერებათ.

მე პირადად, ვერ ვიჯერებ, რომ წილისყრები ჩაწყობილია ხოლმე, მაგრამ მერე სულ ვფიქრობ, რატომ არის, რომ ვიღაცას სულ იოლი მოწინააღმდეგე ხვდება, ვიღაცას კი — ძნელი? რომ დაფიქრდები, ეგ მარტო ფეხბურთში კი არა, ცხოვრებაშიც ხდება — ცხოვრებას კი ვინ ჩააწყობს?

ამ წინასწარ გამოქვეყნებულისა კი სულაც არ მიკვირს.

არც მახსოვს, რამდენი წლის წინათ, რედაქციაში წილისყრის შედეგები ჩამოვწერეთ და მე ოთხივე გამოვიცანი. სვეტიც კი დავწერე, მგონი, ამის შესახებ. იმის მერე აღარც მიცდია, გამომეცნო. პარასკევს ვცადე და ვერცერთი წყვილი ვერ მოვარტყი: დავიჩემე, „მანჩესტერი“ „ფენერბაჰჩეს“ შეხვდება-თქო.

ეგრეა, თუ ამ საქმით პროფესიულად არ ხარ დაკავებული, გამოცნობა იღბალზეა და ტოტალიზატორიც ეგ არის.

ადრე რას არ ამბობდნენ: საწილისყრო ბურთულები სხვადასხვა ტემპერატურისაა და ამომღებმა წინდაწინ იცის, რომელს ამოიღებს, ვინაიდან ხელით სინჯავსო.

ახლა, პარასკევს, დასაევი იდგა და ტემპერატურას არკვევდა?

აბა, რა ვიცი. მე ეგეთ რამეს ძნელად წარმოვიდგენ ხოლმე.

ყველა ისედაც ვარაუდობდა, რომ ერთი ინგლისური წყვილი მაინც იქნებოდა.

შეიძლებოდა, არ ყოფილიყო, მაგრამ ეგ როგორ? ეგრე არ ხდება ხოლმე.

წილისყრასაც აქვს რაღაც კანონზომიერება. არ ვიცი, მგონი, უეფასთვის სულერთია, ვინ მოიგებს ჩემპიონთა თასს.

თუ შემოსავლებზეა საქმე, მაშინ ყველას და ყოველთვის უნდა უნდოდეს, რომ ყველგან და ყოველთვის ინგლისელები იყვნენ, რადგან ამდენი ჯანი არავის დაყვება. წელს კი არიან, მაგრამ შარშან იყვნენ?

გამთბარი და გაყინული ბურთულების არ მჯერა, თუნდაც, ორი დღით ადრე გამოაქვეყნონ წყვილები და მერე ისინი წილისყრას დაემთხვეს.

ასეთი რამე ყველას შეუძლია, ოღონდ იშვიათად.

# ზალცბურგი და კო

„ზალცბურგს“ სეზონის ბოლოს კო ადრიანსე ჩაიბარებს. ის ჯოვანი ტრაპატონის შეცვლის, რომელიც, თავის მხრივ, ირლანდიის ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს.

კლუბის სპორტულმა დირექტორმა ჰაინც ჰოჰხაუზერმა განაცხადა: „ადრიანსე შემტევი ფეხბურთის მიმდევარია და მისი ფილოსოფია ჩვენსას ემთხვევა“. 61 წლის ჰოლანდიელმა კი თქვა: „მოუთმენლად ველი ახალ, საინტერესო სამუშაოს. „ზალცბურგში“ კარგი ვითარებაა და საქმის კეთებასაც დიდი ენთუზიაზმით შევუდგები“.

ამსტერდამში დაბადებული კო ადრიანსეს საფეხბურთო კარიერა „დე ვოლევაიკერსში“ დაიწყო, სადაც ექვსი წელი გაატარა. შემდეგ „უტრეხტში“ გადავიდა და იქაც ექვსი სეზონი ითამაშა. 29 წლისამ კარიერა დაასრულა და 1979-დან მწვრთნელობა „ზილვერმეუვენში“ თანაშემწეობით დაიწყო. მერე (1983-84) „ალკმაარში“ პატარებს წვრთნიდა და თან სკაუტობასაც ითავსებდა.

1984-ში „ზვოლეს“ თავკაცი გახდა, 1988-ში კი „დენ ჰააგი“ ჩაიბარა. 1992 წლიდან „აიაქსის“ ახალგაზრდებს ავარჯიშებდა და ამსტერდამულ კლუბში ხუთი წელი დაჰყო.

„აიაქსიდან“ „ტილბურგს“ მიაშურა და გუნდი ჩემპიონთა ლიგაში (1999-2000) გაიყვანა. „ტილბურგიდან“ 2000 წლის მაისში წავიდა და „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელი გახდა. 2001-ში ამსტერდამელებმა ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავეს და იმავე წლის ნოემბერში მოხსნეს.

ადრიანსემ ერთი წელი დაისვენა და 2002-ის ნოემბრიდან „ალკმაარი“ ჩაიბარა, რომელიც უეფას თასის ნახევარფინალში (2005) გავიდა, მაგრამ „სპორტინგთან“ დამარცხდა.

ჰოლანდიიდან პორტუგალიაში წავიდა და „პორტუ“ ჩემპიონი (2006) გახადა.

2006 წლის დეკემბრიდან 2007-ის მაისამდე დონეცკის „მეტალურგს“ წვრთნიდა, მერე კი ექვსი თვე საუდურ „ალ საადიში“ მუშაობდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ტრაგედია ავტობუსში




**არგენტინის** ჩემპიონატში შაბათს გასამართი, „სან ლორენსოსა“ და „ველეს სარფილდის“ მატჩი სტუმართა ფანის მკვლელობის გამო აღარ შედგა. გუნდები უკვე მოედანზე იყვნენ გასულნი, როცა ველესელთა ქომაგებმა ბიჭის სიკვდილის ამბავი შეიტყვეს და დამცავი ბარიერების დამტვრევა და მინდორზე შეჭრა სცადეს.

„ველეს სარსფილდის“ გულშემატკივართა 40-მდე ავტობუსს პოლიციის ესკორტი სტადიონისკენ მიაცილებდა და ამ დროს ვიღაცამ ავტობუსისკენ ისროლა. ტყვია 21 წლის ემანუელ ალვარესს მოხვდა, რომელიც უმალ საავადმყოფოში წაიყვანეს.

თამაში უკვე უნდა დაწყებულიყო, მაგრამ სტუმართა ქომაგებმა გაიგეს, რომ ალვარესი გარდაიცვალა და სტადიონზე არეულობა ატყდა. „ველესის“ ფეხბურთელებმა თავიანთი გულშემატკივრების დაწყნარება ამაოდ სცადეს და მსაჯიც იძულებული გახდა, გუნდები მოედნიდან გაეყვანა.

სან სალვადორ დე ხუხუიში „ხიმნასიასა“ და „ლანუსის“ მატჩიც არ გამართულა, რადგან ქალაქის მთავრობამ განაცხადა, სათანადო უსაფრთხოებას ვერ ვუზრუნველვყოფთო.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რუსეთი

### პრემიერლიგა. 1 ტური

**ტერეკი 0:3 კრილია**

0:1 სავინი (48), 0:2 კალაჩევი (77), 0:3 ტიხონოვი (90პ)

**ცსკა 1:1 შინიკი**

1:0 ჟო (63), 1:1 ლაიზანსი (67)

**ხიმკი 0:3 ამკარი**

0:1 ჟილიაევი (9), 0:2 კუშევი (19), 0:3 ინიანცი (87)

**ნალჩიკი 2:1 სატურნი**

0:1 ამისულაშვილი (3ს.კ.), 1:1 გოგუა (58), 2:1 მაშუკოვი (80)

ნალჩიკი: ხომიჩი, ჯუდოვიჩი, ფილატოვი, იატჩენკო, ამისულაშვილი, მაშუკოვი, გოგუა, სამსონოვი, კოჩუბეი (გეტერიევი 55), სირაძე (ფელიპე 59), ბიკმაევი (კაჟაროვი 73)

**ლუჩ-ენერგია 1:1 მოსკვა**

1:0 გვაზავა (47), 1:1 ეპურეანუ (63)

ლუჩ-ენერგია: ჩეხი, დაკოსტა, შეშუკოვი, სმირნოვი, ნოვკოვიჩი, დამიანოვიჩი, გვაზავა, ვუიოვიჩი, ბაზაევი (კუზნეცოვი 90), ბულიგა, ტიხონოვეცკი (შევჩენკო 70)

**ტომი 0:0 დინამო**

**ზენიტი 0:0 სპარტაკი**

**ლოკომოტივი 0:1 რუბინი**

0:1 შარონოვი (45)

ლოკომოტივი: ლევენეცი, როდოლფო, სენიკოვი (სამედოვი 90), სპახიჩი, იანბაევი, გურენკო, კოჩიში, ტორბინსკი (მუჟირი 74), ოდემვინგი, ტრაორე, სიჩოვი

რუბინი: რიჟიკოვი, ანსალდი, ტომასი, შარონოვი, კვირკველია, კობენკო, სიბაია, სემაკი, რიაზანცევი, კარადენიზი (კაბზე 72), მილოშევიჩი (ბუხაროვი 60)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრილია | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ამკარი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| ნალჩიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| რუბინი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მოსკვა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| შინიკი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ცსკა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლუჩ-ენერგია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ზენიტი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ტომი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სპარტაკი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| დინამო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| სატურნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ლოკომოტივი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ტერეკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ხიმკი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა. XXX ტური

**აბერდინი 3:0 გრეტნა**

1:0 მაგუაირი (40), 2:0 მილერი (71პ), 3:0 ნიკოლსონი (73)

**ჰიბერნიანი 2:0 კილმარნოკი**

1:0 მორაიში (29), 2:0 ფლეტჩერი (73)

**ინვერნესი 0:1 ფოლკირკი**

0:1 კლარკი (86)

**სენტ მირენი 1:1 ჰარტსი**

1:0 ჰამილტონი (59), 1:1 მიკოლიუნასი (87)

**მოზერუელი — სელტიკი**

გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 27 | 22 | 2 | 3 | 67:20 | 68 |
| სელტიკი | 28 | 20 | 5 | 3 | 66:19 | 65 |
| ჰიბერნიანი | 30 | 13 | 8 | 9 | 44:35 | 47 |
| დანდი იუნ. | 30 | 13 | 7 | 10 | 43:34 | 46 |
| მოზერუელი | 28 | 14 | 4 | 10 | 39:33 | 46 |
| ფოლკირკი | 30 | 11 | 7 | 12 | 39:42 | 40 |
| ჰარტსი | 30 | 10 | 7 | 13 | 41:48 | 37 |
| აბერდინი | 30 | 10 | 7 | 13 | 36:48 | 37 |
| ინვერნესი | 30 | 10 | 3 | 17 | 35:49 | 33 |
| კილმარნოკი | 30 | 7 | 7 | 16 | 30:45 | 28 |
| სენტ მირენი | 28 | 7 | 7 | 14 | 19:45 | 28 |
| გრეტნა | 29 | 4 | 4 | 21 | 28:69 | 16 |

### I დივიზიონი. XXX ტური

მორტონი — პარტიკი 0:0; ჰამილტონი — დანდი 1:0; ლივინგსტონი — სენტ ჯონსტონი 0:2; ქუინი — დანფერმლაინი 1:1; სტირლინგი — კლაიდი 1:1

### II დივიზიონი. XXX ტური

ალოა — პიტერჰედი 2:0; ეარი — როსი 0:2; ბრეჩინი — ქუინზ პარკი 0:1; კოუდენბითი — ბერვიკი 1:2; რეითი — ერდრი 1:0

### III დივიზიონი. XXX ტური

ალბიონი — მონტროუზი 0:3; არბროთი — სტენჰაუზმური 1:0; ისტ სტირლინგი — ისტ ფაიფი 0:3; ელგინი — დამბარტონი 2:1; ფორფარი — სტრანრარი 1:0

### ლიგის თასის ფინალი

დანდი იუნ. 2:2დდ(პენ2:3) რეინჯერსი

## ჩეხეთი

### გამბრინუს ლიგა. XXI ტური

სიგმა — ბანიკი 1:0; [illegible] ოვიცე 2:0; იაბლონეცი — ბრნო 2:0; პლზენი — ლიბერეცი 0:1; კლადნო — მოსტი 1:1; ტეპლიცე — ზლინი 2:0; სლავია — ბოჰემიანსი 2:1. ბოლესლავი — სპარტა დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სლავია | 21 | 13 | 6 | 2 | 34:14 | 45 |
| სპარტა | 20 | 12 | 4 | 4 | 38:16 | 40 |
| ტეპლიცე | 21 | 11 | 3 | 7 | 27:20 | 36 |
| ბანიკი | 21 | 9 | 8 | 4 | 33:22 | 35 |
| ბრნო | 21 | 10 | 5 | 6 | 30:27 | 35 |
| პლზენი | 21 | 8 | 5 | 8 | 22:26 | 29 |
| ლიბერეცი | 21 | 7 | 7 | 7 | 22:20 | 28 |
| ბოლესლავი | 20 | 6 | 8 | 6 | 23:22 | 26 |
| სიგმა | 21 | 5 | 11 | 5 | 13:16 | 26 |
| ზლინი | 21 | 7 | 5 | 9 | 21:26 | 26 |
| ჟიჟკოვი | 21 | 7 | 5 | 9 | 29:38 | 26 |
| ბუდეიოვიცე | 21 | 6 | 6 | 9 | 22:25 | 24 |
| იაბლონეცი | 21 | 5 | 8 | 8 | 15:19 | 23 |
| კლადნო | 21 | 4 | 6 | 11 | 23:32 | 18 |
| მოსტი | 21 | 3 | 8 | 10 | 23:38 | 17 |
| ბოჰემიანსი | 21 | 3 | 7 | 11 | 15:29 | 16 |

## დანია

### სუპერლიგა. XIX ტური

ოდენსე — ოლბორგი 1:1; ჰორსენსი — ორჰუსი 0:0; ლიუნგბიუ — კოპენჰაგენი 1:4; ვიბორგი — ესბიერგი 0:4; ბრონდბიუ — რანდერსი 3:1. მიდტიულანდი — ნორდსიელანდი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოპენჰაგენი | 19 | 10 | 7 | 2 | 27:12 | 37 |
| ოლბორგი | 19 | 11 | 4 | 4 | 37:28 | 37 |
| ჰორსენსი | 19 | 8 | 7 | 4 | 27:24 | 31 |
| ოდენსე | 19 | 6 | 11 | 2 | 28:16 | 29 |
| მიდტიულანდი | 18 | 8 | 5 | 5 | 26:22 | 29 |
| რანდერსი | 19 | 7 | 5 | 7 | 26:18 | 26 |
| ესბიერგი | 19 | 7 | 4 | 8 | 39:33 | 25 |
| ნორდსიელანდი | 18 | 6 | 7 | 5 | 28:25 | 25 |
| ბრონდბიუ | 19 | 6 | 6 | 7 | 26:27 | 24 |
| ორჰუსი | 19 | 5 | 4 | 10 | 20:28 | 19 |
| ვიბორგი | 19 | 4 | 2 | 13 | 15:40 | 14 |
| ლიუნგბიუ | 19 | 2 | 4 | 13 | 19:45 | 10 |

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XXI ტური

სენეცი — სლოვანი 1:0; ბანსკა ბისტრიცა — რუჟომბეროკი 1:1; ნიტრა — კოშიცე 1:0; დუბნიცა — ჟილინა 0:2; ტრნავა — არტმედია 0:2; მორავცე — ტრენჩინი 2:0

## ხორვატია

### I დივიზიონი. XXIII ტური

ზადარი — ინტერი 3:1; დინამო — ციბალია 4:0; ჰაიდუკი — შიბენიკი 4:1; ოსიეკი — მედიმურიე 3:1; სლავენი — ვარტექსი 2:1; რიეკა — ზაგრები 1:1

## უკრაინა

### ვიშა ლიგა. XXI ტური

ხარკოვი — ტავრია 1:1; კარპატი — დინამო 1:2; შახტარი — მეტალისტი 4:1; კრივბასი — მეტალურგი (დ) 1:1; ჩერნომორეცი — ზაკარპატია 3:1; არსენალი — ვორსკლა 3:2; დნიპრო — ზარია 1:0; მეტალურგი (ზ) — ნაფტოვიკი 1:0

## იაპონია

### ჯეი ლიგა. II ტური

ოიტა — კაშივა 2:0; ურავა — ნაგოია 0:2; კობე — კავაზაკი 4:1; ივატა — გამბა 3:0; ნიიგატა — ტოკიო 2:3; საპორო — იოკოჰამა 1:2; იჩიჰარა — შიმიცუ 1:2; კიოტო — ომია 2:1; ვერდი — კაშიმა 0:2

## სლოვენია

### I ლიგა. XXIII ტური

კოპერი — ინტერბლოკი 2:1; დომჟალე — მარიბორი 0:0; ნოვა გორიცა — პუბლიკუმი 0:0; დრავა პტუი — ნაფტა 2:1; ივანჩნა გორიცა — პრიმორიე 3:0

## ფინეთი

### ლიგის თასი. VI ტური

I ჯგუფი

**მიუპა 0:0 როვანიემი**

II ჯგუფი

**ვაასა 2:3 მარიეჰამნი**

**ლაჰტი 2:0 იარო**

# კარატისტი აჰმედი



კრიშტიანუ რონალდუს ამ გასროლამ „მანჩესტერი" სირცხვილისგან იხსნა

## ინგლისი
### პრემიერლიგა
### XXX ტური

**ვესტ ჰემი 2:1 ბლექბერნი**

0:1 სანტა კრუზი (19), 1:1 ეშტონი (39), 2:1 სირსი (81)

ვესტ ჰემი: გრინი, ნილი, ფერდინანდი, მაკკარტნი, სპექტორი, მალინსი, პარკერი (ნობლი 75), ლიუნგბერგი (პანცილი 88), სოლანო (სირსი 75), ეშტონი, ზამორა

მწვრთნელი: ალან კერბიშლი

ბლექბერნი: ფრიდელი, ოიერი, სამბა, უორნოკი, რიდი, დანი (დერბიშირი 71), პედერსენი (მაკკარტი 90), ემერტონი (ხიზანიშვილი 46), ბენტლი, რობერტსი, სანტა კრუზი

მწვრთნელი: მარკ ჰიუზი

გაფრთხილება: ფერდინანდი, ბენტლი, დანი, რიდი

მსაჯი: ატკინსონი

34 000 მაყურებელი

**დერბი 0:1 მანჩესტერი**

0:1 რონალდუ (76)

დერბი: კეროლი, ედვორთი (ტოდი 55), ლიკოკი, მური, მაკიველი, სტერიოვსკი (რობერი 83), სევიჯი, ჯონსი, ლუისი, მილერი, ერნშოუ (ვილა 77)

მწვრთნელი: პოლ ჯუელი

მანჩესტერი: ფოსტერი, ოში, ბრაუნი, ვიდიჩი, ევრა, პარკი (საა 62), სქოულზი (კარიკი 62), ანდერსონი (ფლეტჩერი 74), გიგზი, რონალდუ, რუნი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: მური, ჯონსი, სევიჯი, მაკიველი, კარიკი

მსაჯი: დოუდი

33 072 მაყურებელი

**არსენალი 1:1 მიდლსბრო**

0:1 ალიადიერი (25), 1:1 ტურე (86)

არსენალი: ალმუნია, სანია (ბენდტნერი 61), ტურე, გალასი, კლიში (სენდეროსი 89), ებუე, ფაბრეგასი, ფლამინი, გლები, ადებაიორი, ვან პერსი (უოლკოტი 61)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

მიდლსბრო: შვარცერი, იანგი, ჰუთი, უიტერი, პოგატეცი, ონილი, შავკი (კეტერმოლი 46), ბოატენგი, დაუნინგი, თუნჯაი (ტეილორი 68), ალიადიერი (მიდო 78)

მწვრთნელი: გარეთ საუთგეიტი

გაფრთხილება: უიტერი, ონილი

გაძევება: მიდო (88)

მსაჯი: ჰალსი

60 084 მაყურებელი

**სანდერლენდი 0:1 ჩელსი**

0:1 ტერი (10)

სანდერლენდი: გორდონი, ბერდსლი, ევანსი, ნოსვორთი, კოლინზი, ედვარდსი (პრიკა 62), ოდონოვანი (იორკი 73), უიტიჰიდი, ლიდბიტერი (ჰარტი 85), რიდი, ჯონსი

მწვრთნელი: როი კინი

ჩელსი: კუდიჩინი, პ. ფერეირა, ალექსი, ტერი, ე. კოული, მიკელი, ბალაკი (ესიენი 73), ლამპარდი, ჯ. კოული (რაიტ-ფილიპსი 82), დროგბა, კალუ

მწვრთნელი: ავრაამ გრანტი

გაფრთხილება: უიტიჰიდი, ლიდბიტერი, მიკელი

მსაჯი: დინი

44 679 მაყურებელი

**ლივერპული 2:1 რედინგი**

0:1 მატეიოვსკი (5), 1:1 მასკერანო (19), 2:1 ტორესი (48)

ლივერპული: რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, აურელიო, ხაბი ალონსო, მასკერანო, ჯერარდი (პიიპია 90), კუიტი (ბენაიუნი 80), ბაბელი (რიისე 83), ფ. ტორესი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

რედინგი: ჰანემანი, როსენიორი, ბიკეი, ინგიმარსონი, შორი, ოსტერი (კები 72), ჰარპერი, მატეიოვსკი (სისე 74), ჰანტი, დოილი, ლონგი (კიტსონი 63)

მწვრთნელი: სტივ კოპელი

გაფრთხილება: ჰანტი, ინგიმარსონი, მატეიოვსკი, ბიკეი, სისე

მსაჯი: მარინერი

43 524 მაყურებელი

**ფულემი 1:0 ევერტონი**

1:0 მაკბრაიდი (67)

ფულემი: კელერი, სტალტერი, ჰიუზი, კონჩესკი, ჰანგელანდი, ანდრეასენი, ბალარდი (ვოლცი 85), მერფი (ბოკანეგრა 74), დევისი, მაკბრაიდი (დემპსი 88), ედი ჯონსონი

მწვრთნელი: როი ჰოჯსონი

ევერტონი: ჰოვარდი, ფ. ნევილი, იაგიელკა, იობო, ლესკოტი, კარსლი, ოსმანი, არტეტა, პიენაარი (ბაინსი 64), ენდი ჯონსონი (ჰიბერტი 14), აიეგბენი

მწვრთნელი: დევიდ მოიესი

გაფრთხილება: მერფი

მსაჯი: ბენეტი

25 262 მაყურებელი

**სიტი 2:1 ტოტენჰემი**

0:1 კინი (32), 1:1 აირლენდი (59), 2:1 ონუოჰა (72)

სიტი: ჰარტი, ონუოჰა, დანი, გარიდო, ჩორლუკა, აირლენდი, ელანო (კაისედო 75), მ. ჯონსონი, ფელსონი, მვარუვარი (ქიხაი 88), კასტილიო (ვასელი 71)

მწვრთნელი: სვენ-გორან ერიკსონი

ტოტენჰემი: რობინსონი, ჩიმბონდა, დოუსონი, ვუდგეიტი, ჰატონი, ჯენასი, მალბრანკი (ოჰარა 67), ზოკორა, ლენონი (ჰადლსტოუნი 46), კინი (დ. ბენტი 67), ბერბატოვი

მწვრთნელი: ხუანდე რამოსი

მსაჯი: კლატენბურგი

40 180 მაყურებელი

**პორტსმუთი 2:0 ასტონ ვილა**

1:0 დეფო (11), 2:0 რეო-კოკერი (38ს.კ.)

პორტსმუთი: ჯეიმსი, გ. ჯონსონი, ჰრეიდარსონი, დისტინი, ლორენი, დიოპი, დიარა, მუნტარი, კრანჩარი, ბაროში (კანუ 83), დეფო (უტაკა 81)

მწვრთნელი: ჰარი რედნაპი

ასტონ ვილა: კარსონი, მელბერგი, ლაურსენი, ნაითი, ბუმა (სალიფუ 79), მელოუნი (ჰარვუდი 57), რეო-კოკერი, ბერი, იანგი, კარეუ, აგბონლაჰორი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: მუნტარი, მელბერგი, ლორენი, დიოპი, მუნტარი, მელბერგი

გაძევება: მუნტარი (81), მელბერგი (89)

მსაჯი: ფოი

20 388 მაყურებელი

**უიგანი 1:0 ბოლტონი**

1:0 ჰესკი (34)

უიგანი: კირკლანდი, მელხიოტი, ბოისი, შარნერი, ედმანი, ბრაუნი, კუმასი, ვალენსია, პალასიოსი (რ. ტეილორი 90), კინგი (კილბეინი 58), ჰესკი

მწვრთნელი: სტივ ბრიუსი

ბოლტონი: ალ ჰაბსი, ე. ობრაიენი, გ. კეჰილი (მაკკანი 69), მ. ტეილორი, სტეინსონი, გარდნერი, ნოლანი, კამპო, კოჰენი (რასიაკი 42), დევისი, დიუფი (ჯ. ობრაიენი 46)

მწვრთნელი: გარი მეგსონი

გაფრთხილება: დიუფი, პალასიოსი, გარდნერი, მაკკანი, რ. ტეილორი

გაძევება: კუმასი (5)

მსაჯი: ტენერი

17 055 მაყურებელი

**ბირმინგემი — ნიუკასლი**

დღეს გაიმართება

„მანჩესტერმა" ერთ გოლზე მეტი ვერ გაუტანა „დერბის", რომელმაც წინა მატჩში „ჩელსისგან" ექვსი გაუშვა, მაგრამ ესეც საკმარისი გამოდგა იმისთვის, რომ ცხრილის თავში გადაბრძანებულიყო.

კრიშტიანუ რონალდუს „დერბისთან" 11 საგოლე მომენტი ჰქონდა, მაგრამ მხოლოდ ერთი გამოიყენა. ხან თვითონ პორტუგალიელი სცოდავდა, ხანაც მეკარე როი კეროლი ყოჩაღობდა.

„მანჩესტერის" დებიუტანტი გოლკიპერი ბენ ფოსტერიც არ ყოფილა უსაქმოდ, რაკი ალექს ფერგიუსონმა იგი ნამატჩევს შეაქო: „ბრწყინვალედ ითამაშა, ასე თუ გააგრძელებს, ინგლისის ნაკრებს უახლოეს ათ წელიწადში მეკარის პრობლემა არ ექნება. ფოსტერი კარგი იყო, მაგრამ მადლობა კიდევ ერთხელ უნდა ვუთხრათ რონალდუს".

მასპინძელთა მწვრთნელი პოლ ჯუელი: „ოთხშაბათს „ჩელსიმ" ბავშვებივით დაგვჩაგრა, მაგრამ ამჯერად მეტოქეს თითქმის ტოლ-სწორად ვეთამაშეთ. ამდენი მომენტი, „მანჩესტერთან" რომ შევქმენით, აქამდე გამართულ ყველა მატჩში ერთად არ გვქონია".

რაკი „მანჩესტერმა" „არსენალს" გადაასწრო, „მეთოფეებს", რომლებიც გვიან თამაშობდნენ, „მიდლსბროსთან" აუცილებლად გამარჯვება სჭირდებოდათ პირველი ადგილის დასაბრუნებლად. უდიდესი უპირატესობის მიუხედავად, არსენ ვენგერის გუნდმა მატჩის ბოლოსღა მოახერხა ქულის გადარჩენა.

ბოროელები ყოფილმა არსენალელმა, ჟერემი ალიადიერმა დააწინაურა 25-ე წუთზე. იგი შარშან ზაფხულს „მეთოფეებმა" 2 მილიონ გირვანქად გაყიდეს. თუნჯაიმ მარცხენა ფლანგზე მეკარისგან მიიღო პასი, კარის წინ ალიადიერს მიაწოდა და ფორვარდმაც ახლოდან გაიტანა. სტუმრებს მეტჯერ არც დაურტყამთ კარში, მაგრამ დაცვაში მგრად იდგნენ და მასპინძლები ამაოდ ცდილობდნენ მეტოქის ჯებირების გარღვევას.

ვენგერმა მეორე ტაიმში უოლკოტი და ბენდტნერი შეუშვა, გუნდმაც ტემპს უმატა და ფრანსესკ ფაბრეგასს ორჯერ მართებდა გატანა. ერთხელ მეკარესთან პირისპირ გასულს, შვარცერმა აჯობა, მეორედ კი თავურით ბურთი ძელს გაარტყა.

ფორვარდებს არაფერი გამოსდიოდათ და საბოლოოდ მცველმა კოლო ტურემ გაათანაბრა. კოტდივუარელმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი კარში თავით შეაგდო.

გოლიდან ორ წუთში კი ბოროელმა აჰმედ ჰოსამ მიდომ მეტოქის ნახევარზე კარატეს ილეთი გამოიყენა და შეცვლაზე ათი წუთის შესული გააძევეს. მიდო ბურთისთვის ახტა, ფეხი გაშალა და გაელ კლიშის ქაცვები სახეში მიარტყა.

ამასობაში კი „ჩელსი" „მანჩესტერს" და „არსენალს" მიუახლოვდა. ავრაამ გრანტის გუნდმა ჯონ ტერის გოლით სანდერლენდში იმარჯვა და ლიდერებს სამი ქულით ჩამორჩება. ფრენკ ლამპარდმა კუთხურიდან ჩააწოდა, ტერიმ კი სეზონში პირველი გოლი თავით გაიტანა. ამ მოგებამ გრანტი შეაგულიანა: „თუ ჩემს გუნდში ერთი კაცი მაინც არის, რომელიც იტყვის, რომ ჩვენ ჩემპიონობის შანსი არ გვაქვს, მას „ჩელსიში" არაფერი ესაქმება.

ლივერპულმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი მოიგო, თუმც „რედინგთან" მეხუთე წუთზე აგებდა. ხავიერ მასკერანომ შორიდან ძლიერი დარტყმით გაათანაბრა და ეს იყო მის საკლუბო კარიერაში მეორე გოლი. შესვენების შემდეგ კი ფერნანდო ტორესმა, რომელიც უკვე რამდენიმე მატჩია, მოედნიდან უგოლოდ არ გადის, თავურით შეაგდო. ორივე გუნდის მწვრთნელი მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. სტივენ ჯერარდს ბოლო წუთზე კარში მიმავალი ბურთი ხელზე მოხვდა და რედინგელთა თავკაცმა სტივ კოპელმა მსაჯობა ამის გამო დაიწუნა, პენალტი გვეკუთვნოდაო. ხოლო რაფაელ ბენიტესმა თქვა, არბელოას სახეში იდაყვი უთავაზეს და არბიტრის გარდა ყველამ დაინახაო.

„პორტსმუთმა" ცხრილის მეზობელ „ასტონ ვილას" პრინციპული მატჩი მოუგო და მეექვსე ადგილი წაართვა, ხოლო „ვესტ ჰემი", რომელმაც ზედიზედ სამჯერ 0:4 წააგო, გონს მოვიდა და „ბლექბერნთან" იმარჯვა.

კვირასაც საინტერესო ამბები დატრიალდა. „ფულემმა" „ევერტონს" 1966 წლის მერე პირველად მოუგო, თანაც დევიდ მოიესის გუნდისთვის ეს იყო პირველი წლევანდელი მარცხი. ლონდონელებს გამარჯვება ვეტერანი ამერიკელის ბრაიან მაკბრაიდის კინკილა გოლმა მოუტანა.

„სიტიმ" წარუმატებლობათა სერია უმიზნოდ დარჩენილი „ტოტენჰემის" ძლევით შეწყვიტა, ხოლო „უიგანმა", მიუხედავად 85-წუთიანი კაცნაკლულობისა, ჰესკის გოლით „ბოლტონი" დაამარცხა.

**გაჟა ხუციშვილი**

### კონფერენსლიგა. XXXVIII ტური

სტივენეჯი — კიდერმინსტერი 2:1; კემბრიჯი — უოკინგი 1:0; ფორესტ გრინი — ჰალიფაქსი 2:0; გრეისი — ალტრინჩემი 1:0; ჰისტონი — რაშდენი 2:1; ნორსვიჩი — ქროული 2:0; სალისბერი — ფერსლი 1:1; სტაფორდი — ოქსფორდი 0:1; ბარროუ — ვეიმუთი 2:1. ექსეტერი — დროილსდენი გადაიდო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 29 | 21 | 4 | 4 | 59:15 | 67 |
| არსენალი | 30 | 19 | 10 | 1 | 58:22 | 67 |
| ჩელსი | 29 | 19 | 7 | 3 | 49:18 | 64 |
| ლივერპული | 30 | 16 | 11 | 3 | 55:21 | 59 |
| ევერტონი | 30 | 17 | 5 | 8 | 47:25 | 56 |
| პორტსმუთი | 30 | 14 | 8 | 8 | 44:31 | 50 |
| ასტონ ვილა | 30 | 13 | 10 | 7 | 52:39 | 49 |
| სიტი | 30 | 13 | 9 | 8 | 36:34 | 48 |
| ბლექბერნი | 30 | 12 | 10 | 8 | 39:37 | 46 |
| ვესტ ჰემი | 30 | 12 | 7 | 11 | 33:36 | 43 |
| ტოტენჰემი | 29 | 9 | 8 | 12 | 54:47 | 35 |
| უიგანი | 30 | 8 | 7 | 15 | 27:42 | 31 |
| მიდლსბრო | 30 | 7 | 10 | 13 | 27:44 | 31 |
| რედინგი | 30 | 8 | 4 | 18 | 35:57 | 28 |
| ნიუკასლი | 29 | 7 | 7 | 15 | 30:56 | 28 |
| სანდერლენდი | 30 | 7 | 6 | 17 | 26:48 | 27 |
| ბირმინგემი | 29 | 6 | 8 | 15 | 33:45 | 26 |
| ბოლტონი | 29 | 6 | 7 | 16 | 28:43 | 25 |
| ფულემი | 30 | 4 | 11 | 15 | 27:49 | 23 |
| დერბი | 30 | 1 | 7 | 22 | 14:64 | 10 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| რონალდუ (მანჩესტერი) | 22 |
| ფ. ტორესი (ლივერპული) | 20 |
| ადებაიორი (არსენალი) | 19 |
| კინი (ტოტენჰემი) | 13 |
| მვარუვარი (პორტსმუთი/სიტი) | 13 |
| ბერბატოვი (ტოტენჰემი) | 12 |
| სანტა კრუზი (ბლექბერნი) | 12 |
| აიეგბენი (ევერტონი) | 12 |

### XXXI ტური

22 მარტი

| | | |
|---|---|---|
| ასტონ ვილა | : | სანდერლენდი |
| ბლექბერნი | : | უიგანი |
| ბოლტონი | : | სიტი |
| ჩელსი | : | არსენალი |
| ევერტონი | : | ვესტ ჰემი |
| მანჩესტერი | : | ლივერპული |
| მიდლსბრო | : | დერბი |
| ნიუკასლი | : | ფულემი |
| რედინგი | : | ბირმინგემი |
| ტოტენჰემი | : | პორტსმუთი |

### ჩემპიონატი XXXIX ტური

ბლექპული — პრესტონი 0:0; ბრისტოლი — პლიმუთი 1:2; ბარნლი — ვულვზი 1:3; კოლჩესტერი — კარდიფი 1:1; ქოვენთრი — უენსდი 0:0; კრ. პალასი — ბარნსლი 2:0; ჰალი — საუთჰემპტონი 5:0; იფსვიჩი — ჩარლტონი 2:0; ქუინზ პარკი — სკანთორპი 3:1; შეფილდი — ნორვიჩი 2:0; უოტფორდი — სტოკი 0:0; ვესტ ბრომვიჩი — ლესტერი 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტოკი | 39 | 18 | 13 | 8 | 61:49 | 67 |
| ბრისტოლი | 39 | 18 | 13 | 8 | 46:44 | 67 |
| უოტფორდი | 38 | 17 | 13 | 8 | 57:43 | 64 |
| ვესტ ბრომვიჩი | 37 | 18 | 8 | 11 | 73:47 | 62 |
| ჰალი | 38 | 16 | 11 | 11 | 51:40 | 59 |
| პლიმუთი | 39 | 16 | 10 | 13 | 51:40 | 58 |
| კრ. პალასი | 39 | 14 | 15 | 10 | 44:37 | 57 |
| იფსვიჩი | 38 | 15 | 11 | 12 | 56:48 | 56 |
| ჩარლტონი | 39 | 15 | 11 | 13 | 53:47 | 56 |
| ბარნლი | 39 | 14 | 13 | 12 | 52:52 | 55 |
| ვულვზი | 37 | 14 | 12 | 11 | 39:39 | 54 |
| ქუინზ პარკი | 39 | 13 | 12 | 14 | 53:55 | 51 |
| შეფილდი | 38 | 12 | 14 | 12 | 41:41 | 50 |
| კარდიფი | 37 | 12 | 13 | 12 | 44:43 | 49 |
| ბლექპული | 39 | 11 | 15 | 13 | 53:52 | 48 |
| პრესტონი | 39 | 13 | 8 | 18 | 3&43 | 47 |
| ბარნსლი | 38 | 11 | 13 | 14 | 42:54 | 46 |
| ნორვიჩი | 39 | 12 | 10 | 17 | 35:48 | 46 |
| საუთჰემპტონი | 39 | 11 | 12 | 16 | 49:66 | 45 |
| ლესტერი | 39 | 10 | 14 | 15 | 3&36 | 44 |
| ქოვენთრი | 38 | 12 | 8 | 18 | 39:52 | 44 |
| უენსდი | 37 | 12 | 7 | 18 | 3&43 | 43 |
| სკანთორპი | 38 | 9 | 11 | 18 | 36:56 | 38 |
| კოლჩესტერი | 38 | 6 | 15 | 17 | 50:64 | 33 |

### I ლიგა. XXXVIII ტური

ბორნმუთი — იოვილი 2:0; ბრაიტონი — დონკასტერი 1:0; ჩელტენემი — როვერსი 1:0; ჯილინგემი — ქრიუ 0:3; ჰადერსფილდი — საუთენდი 1:2; ლუტონი — ოლდემი 3:0; მილუოლი — ლეიტონი 0:1; ნორთჰემპტონი — სუონსი 4:2; ნოტინგემი — უოლსოლი 1:1; პორტ ვეილი — ლიდსი 3:3; სუინდონი — კარლაილი 2:2; ტრანმერი — ჰარტლპული 3:1

### II ლიგა. XXXVIII ტური

ბარნეტი — ჩესტერი 3:1; ბრედფორდი — მენსფილდი 1:2; დარლინგტონი — გრიმსბი 3:2; ჰერეფორდი — უიკომბი 1:0; ლინკოლნი — სტოკპორტი 0:1; მაკლსფილდი — შრიუსბერი 2:1; დონსი — დაგენემი 4:0; მორეკემბი — ბრენტფორდი 3:1; პიტერბრო — ნოტსი 0:0; როტერჰემი — ჩესტერფილდი 2:1; რექსემი — ბერი 2:1; როჩდეილი — აკრინგტონი 4:1

# გერმანია

## ბუნდესლიგა XXIV ტური

### შალკე 2:1 დუისბურგი

0:1 გეორგიევი (21), 1:1 კურანი (60), 2:1 ვესტერმანი (74)
შალკე: ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი, პანდერი (ჰიოვედესი 87), ჯონსი, ფ. ერნსტი, ვარელა (სანჩესი 46), რაკიტიჩი, კურანი, ჰალილ ალტინტოპი (ასამოა 69)
მწვრთნელი: მირკო სლომკა
დუისბურგი: შტარკე, ავალოსი, ფილიპესკუ, ფერნანდო, ვილი, კასერესი (ვრუცინა 83), გრლიჩი (ბოძეკი 73), ტარარახე, გეორგიევი (მოლდერსი 72), მაიკონი, ნიკულესკუ
მწვრთნელი: რუდი ბომერი
გაფრთხილება: კურანი, ნიკულესკუ, ფერნანდო
მსაჯი: დრეესი
61 482 მაყურებელი

### კარლსრუე 0:1 აინტრახტი

0:1 ფინკი (25)
კარლსრუე: მ. მილერი, ა. გიორლიცი, ეგიმენი, ფრანცი, აიხნერი, მუტცელი (შტინდლი 81), პორკელიო (ს. ბუკი 77), ტიმი (ფრაისი 62), ჰაინალი, იაშვილი, კაპლანი
მწვრთნელი: ედმონდ ბეკერი
აინტრახტი: ნიკოლოვი, პ. ოხსი, რუსი, გალინდო, შპიხერი, ინამოტო, მ. ფინკი, კიოლერი (ჩაფტარი 89), ვაისენბერგერი (ტოსკი 74), ფენინი, ამანატიდისი (მანციოსი 46)
მწვრთნელი: ფრიდჰელმ ფუნკელი
გაფრთხილება: აიხნერი, ამანატიდისი, ვაისენბერგერი, კიოლერი
მსაჯი: პერლი
29 348 მაყურებელი

### კოტბუსი 2:0 ბაიერნი

1:0, 2:0 იელიჩი (18, 38)
კოტბუსი: ჰრემელი, რადელჯიჩი, ცვიტანოვიჩი, ი. მიტრესკი, ციბიგი, ს. ანგელოვი, ბასილა, რივიჩი (ვასილიევიჩი 85), შკელა (კ. მიულერი 90), ბ. იელიჩი (შაო 68), დ. სორენსენი
მწვრთნელი: ბოიან პრაშნიკარი
ბაიერნი: კანი, ლელი (პოდოლსკი 66), ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი (იანსენი 46), ზე რობერტო, შვაინშტაიგერი (სოსა 46), ჰამიტ ალტინტოპი, რიბერი, კლოზე, ტონი
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
გაფრთხილება: რადელჯიჩი, შვაინშტაიგერი, რივიჩი, ლელი, მიტრესკი, ლუსიო, სორენსენი, ანგელოვი, ციბიგი
მსაჯი: კინჰოფერი
22 743 მაყურებელი

### ჰამბურგი 1:0 დორტმუნდი

1:0 გერერო (63)
ჰამბურგი: ფ. როსტი, ჯ. ბოატენგი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, ატუბა (ოლიჩი 56), დემელი, იაროლიმი (კომპანი 61), დე იონგი, ტროხოვსკი (ბრეცკო 80), ვან დერ ვაარტი, გერერო
მწვრთნელი: ჰუუბ სტევენსი
დორტმუნდი: მ. ციგლერი, რუკავინა, ამედიკი, ვიორნსი, დედე, ჰუმელსი, ფედერიკო (სენესიე 70), ტინგა, ბაკლი, ვალდესი (ნიოტე 70), პეტრიჩი
მწვრთნელი: თომას დოლი
გაფრთხილება: იაროლიმი, ვალდესი, ბრეცკო
მსაჯი: კირხერი
57 000 მაყურებელი

### ვერდერი 0:1 ვოლფსბურგი

0:1 გრაფიტე (50)
ვერდერი: ვიზე, ოვომოიელა (კ. ფრიცი 46), პასანენი (სანოგო 67), ნალდო, ბოენიში, ბაუმანი, დ. იენსენი (ვრანიეში 40), ჰუნტი, იოზილი, როზენბერგი, უგო ალმეიდა
მწვრთნელი: თომას შააფი
ვოლფსბურგი: ბენალიო, რიტერი, რიკარდუ კოშტა, მადლუნგი, მ. შეფერი, ჰასებე (სანტანა 46), ჟოსუე, გენტნერი, მარსელინიო, ლიუბოია (დეჯაგა 55), გრაფიტე (შიმუნეკი 88)
მწვრთნელი: ფელიქს მაგათი
გაფრთხილება: უგო ალმეიდა, გენტნერი, ჟოსუე
მსაჯი: ვაგნერი
39 831 მაყურებელი

### ლევერკუზენი 4:1 ნიურნბერგი

1:0 ჰაგუი (6), 1:1 მისიმოვიჩი (12), 2:1 გლაუბერი (57ს.კ.), 3:1 გეკასი (59), 4:1 კისლინგი (82)
